ა. მარქსის სახ. სახ. სარ. სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

1980 | 21 ნოემბერი
№ 47 (2224) | პარასკევი
გამოცემის 49-ე წელი

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის ორგანო

«ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО»
ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლის ქალა და ღონე

ჯერ არ განელებულა ის დიდი შთაბეჭდილება, რაც საქართველოს მშრომელებზე მოახდინა ორიოდე წლის წინ კახეთის ერთი უძველესი სოფლის — ჭერემის აღორძინებამ, ჭერემელი კაცის თავის ნასოფლარში დაბრუნებამ და იქ ახალი სიცოცხლის დამკვიდრებამ. ჭერემის განახლება იმგვარი გამარჯვება იყო, რასაც თავისი სიმბოლური და განმაზოგადებელი მნიშვნელობა მიეცა.

ჭერემი ქართულ მწერლობაშიც „შემოიჭრა“: დაიწერა ნარკვევები, ახლახანს კი შეიქმნა ქართული სოფლის მხატვრული ქრონიკა, თავისი დიდი ისტორიით, წარსულითა და დღევანდელობით, სოციალური, მორალურ-ეთიკური პრობლემებით — კონსტანტინე ლორთქიფანიძის „მთას დაუბრუნდა მთიელი“, — რომელიც გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა.

საგულისხმოა, რომ ეს ნაწარმოები უკვე წარდგენილია რესპუბლიკურ პრემიაზე „ხუთწლედის მატიანე“.

ქართული სოფლისათვის თავდადებული და თანმიმდევრული ზრუნვა ჩვენი დღევანდელობის ერთ-ერთი მთავარი ნიშანია. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ მტკიცე მიზნად დაისახა ამ უბანზეც აღმოფხვრას წლების მანძილზე დაშვებული სერიოზული შეცდომები, ქართულ სოფელს დაუბრუნოს თავისი ძალა, ღონე და სილამაზე...

დღეს საქართველო დიდი ინდუსტრიის, მაღალი ეკონომიკის რესპუბლიკაა, მაგრამ ეს სრულიადაც არ გვავიწყებს ქართული სოფლის უდიდეს მნიშვნელობას: ჩვენი ყოფა, სიჯანსაღე, მიწის ბარაქა, შრომისა და ყოფაცხოვრების ადათი, დასაბამს მუდამ სოფლიდან იღებდა და ასე იქნება კვლავაც. ქართულ ხასიათს სოფელი განსაზღვრავს; ქართული კულტურული ტრადიციები, რომელთა გაფრთხილებაზე, განახლებასა და დროის შესატყვისად განვითარებაზე ბოლო ხანს ამდენს ფიქრობს და ზრუნავს ჩვენი საზოგადოებრიობა, სოფლიდან იღებს სათავეს. ჩვენი ფიქრი და ოცნება მუდამ სოფლისკენ მიდის...

ამ დღეებში კიდევ ერთი სასიხარულო ამბავი მოხდა: გარეჯის უდაბნოში განახლდა ისტორიული სოფელი უდაბნო, სადაც საუკუნეთა მანძილზე სოფელი სოფლობდა, იყო ცხოვრება, ეჭიდებოდნენ უდაბნოს მიწას, ჭიდილში იმარჯვებდა სიცოცხლე. მერე სოფელი მოიშალა, ისტორია თითქოს დავიწყებას მიეცა... და აი, ამ დღეებში კვლავ განახლდა უდაბნოში სოფელი, კვლავ გამოჩნდნენ სახლები, ჩაიყარა ნერგი, წამოვიდა წყარო, და რა თქმა უნდა, როგორც კეთილ საქმეს შეუფერის, ზეიმიც გაიმართა.

ზეიმს თითქმის მთელი საქართველოს წარმომადგენლობა დაესწრო და ერთი სოფლის აღორძინება მთელი საქართველოს სიხარულად იქცა.

როცა სოფლების განახლებასა და აღორძინებაზე ვლაპარაკობთ, როცა ჩვენს სიხარულს გამოვხატავთ, არ გვავიწყდება, რომ სოფლების განახლება და აღორძინება ჯერ მხოლოდ კარგად დაწყებული საქმეა, რომ ამ მხრივ კვლავ დიდი სამუშაოები გვიძევს წინ. ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში გამოქვეყნებული ახალგაზრდა მწერლის ნარკვევიც, რომელიც ფშავ-ხევსურეთის სოფლებს ეხება, ღრმად გვახედებს საქართველოს ამ კუთხეების ვითარებაში; გვიხატავს წლების მანძილზე დაშვებული შეცდომების სავალალო შედეგს, მიგვანიშნებს ამ დიდებული კუთხის განვითარების პერსპექტივებზე.

ფშავ-ხევსურეთის აღორძინებაც უკვე მოექცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, ჩვენი საზოგადოებრიობის ზრუნვის არეში. მთის სოფლების განვითარების და განახლების მტკიცე გეგმა, რაც რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ შეიმუშავა, ამ კუთხეებსაც პირდება ნათელ პერსპექტივებს: აი, ჩვენს წინაა ხევსურეთის უძველესი, ტრადიციული სოფლის — გუდანის პროექტი, რომელიც ქართველმა არქიტექტორებმა შექმნეს. პროექტს კარგად იცნობს ჩვენი საზოგადოებრიობა და მისი ხორცშესხმაც უკვე დაწყებულია. ეს არის ჭეშმარიტად თანამედროვე სოფლის პროექტი, რომელშიც გათვალისწინებულია კუთხის კოლორიტი, ტრადიცია, რელიეფისა და ცხოვრების პირობები, განვითარების ტენდენცია... გუდანელი ხევსური ამ პროექტით განხორციელებულ სოფელში იცხოვრებს თანამედროვე ცხოვრებით, საყოფაცხოვრებო და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებით, მაგრამ გუდანი კვლავ იქნება ხევსურეთი, თავისი გარეგნული იერითაც და შინაარსითაც.

ქართული სოფლის განვითარება და აღორძინება, სიჯანსაღე და სილამაზე არ არის ერთი რომელიმე უწყების ან რაიონის ხელმძღვანელობის საქმე. იგი საერთო, პატრიოტული, დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. მასში მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველამ — მიწის კაცმა და ქალაქელმა მუშამ, ინჟინერმა და არქიტექტორმა, მხატვარმა და მწერალმა, რადგან ქართული სოფელი მთელი საქართველოა.

მწერალი მივლინებაში

დავით მჭედლური

მთა კაცით არის ლამაზი

ნარკვევი

ყინვალიდან იწყება ფშავ-ხევსურეთის ზეობა.

შარახევამდე აქაურობას კვლავ ბარის იერი დაჰკრავს, შარახევიდან კი აღმა მიმავალი მგზავრი მთების სამყაროში აღმოჩნდება, მთის სუნთქვასა და სიახლოვეს იგრძნობს, აქედან იწყება მაღაროსკარის ვაჟა-ფშაველას სახელობის კოლმეურნეობაც, რომელიც მთელ ფშავ-ხევსურეთს აერთიანებს, საქართველოს ჩრდილოეთ საზღვრამდე.

მაღაროსკარის კოლმეურნეობა ერთ-ერთი მძლავრი საზოგადოებრივი მეურნეობაა, არაერთხელ მიღებია რესპუბლიკური თუ საკავშირო ჯილდოები, ბევრი ჰყავთ შრომაში გამორჩეული სახელოვანი ადამიანები, ამჟამად კოლმეურნეობას სათავეში უდგას ახალგაზრდა, მაგრამ უკვე გამოცდილი სპეციალისტი, ამ კუთხის მკვიდრი ალექსანდრე ტუნტაურაშვილი.

პირნათლად ხვდებიან მაღაროსკარელი მშრომელები ხკკპ XXVI ყრილობას, წარმატებით აპირებენ მეათე ხუთწლედის გასრულებას და შესწევთ კიდევაც საამისო ძალა, ცხვარიც ბევრი ჰყავთ და ძროხაც, მთისათვის მეცხოველეობის ახალი დარგი — მეღორეობაც კარგახანია აითვისეს.

წელს მაღაროსკარის კოლმეურნეობიდან სახელმწიფო 181 ტონა ხორცს, 41 ტონაზე მეტ მატყლს და 780 ტონა რძეს მიიღებს, მაღაროსკარის კოლმეურნეობაზე მოდის დუშეთის რაიონში წარმოებული რძის 16%.

კიდევ ერთი, რატომღაც უსამართლოდ ხელნაკრავი და მივიწყებული საქმეც აღადგინეს წელს მაღაროსკარელებმა: დაიწყეს ცხვრის წველა და განთქმული ცხვრის ყველის დამზადება; მართალია, წელს ეს ძვირფასი პროდუქტი მხოლოდ ნახევარ ტონამდე დამზადდა, მაგრამ სამომავლოდ მნიშვნელოვნად აპირებენ ცხვრის წველადობის გაზრდას. ისიც აღსანიშნავია, რომ ამ საქმის სულისჩამდგმელები და განმახორციელებლები მაღაროსკარის საშუალო სკოლის მასწავლებლები ყოფილან, რომლებიც არდადეგების პერიოდში ასეთი მონდომებით შრომობენ საზოგადოებრივ მეურნეობაში.

ამ საამედო წარმატებებს მიღმა არიან მშრომელი მთიელები, მეცხვაურეები და მესაქონლეები, მეღორეები, მთიბელები, მექანიზატორები, რომელნიც დარსა და ავდარში, ზაფხულსა და ზამთარში თავს დასტრიალებენ, ზრდიან და ამრავლებენ საკოლმეურნეო დოვლათს, ხელს არ აკლებენ საზოგადოებრივ საქმეს, თუმცა ეს საქმე აქაური გეოგრაფიული, კლიმატური და თვით მეურნეობის პროფილის მიხედვით ადვილი როდია.

უკანასკნელ წლებში დიდად შეიცვალა საკოლმეურნეო ცხოვრების რიტმი. მეცხოველეთა და საკვებმომპოვებელთა სამსახურში ჩადგა ტექნიკა, ათობით კილომეტრი გზა იქნა გაყვანილი მანამდის მიუვალ მთებში, საიდანაც ავტომანქანები უხვად ეზიდნიან საკოლმეურნეო ფერმებისაკენ მთის მწვანე და სურნელოვან თივას, მთიელმა მეთითვემ ტრადიციული კვე-ხარსული გადაყარა, შრომაც შეიმსუბუქა, საქმეშიც ხალისი შეემატა, 18 კილომეტრს ითვლის ურთულეს გეოგრაფიულ პირობებში. ბევრად ტყეებსა, ხრამებსა და კლდეებზე გაყვანილი მიგრიალეთის სამანქანო გზა, რომელმაც ბართან დააკავშირა საძოვრებითა და სათიბებით მდიდარი უკვენტბის მთა.

მეცხოველეთა სამსახურში ჩადგა საავტომობილო გზები კუდო-გომეწრის, კანკანისა და ჩარგლის მთებში. ჭეშმარიტად მამაცურად უშრომიათ გზათამშენებლებს, — სხვანაირად ვერ ააღწევდა ავტომანქანა თვალშეუდგამი მთების მწვერვალებზე; ხოლო ნაკლები მამაცობა და ოსტატობა არც იმათ სჭირდება, ვინც დღენიადაგ ამ გზაზე მანქანის საჭეს უზის და ტვირთი გადაქაქვს, დრომ მოიტანა — მძღოლი და მექანიზატორი მთაშიც მთავარ ფიგურად იქცა.

თანამედროვე ორსართულიანი სახლებით მოიფინა არაგვის ჭალები, უცხო თვალისთვის ერთობ სასიამოვნო სანახავს რომ წარმოადგენს და აქური ხალხის შეძლებასა და მატერიალურ კეთილდღეობაზე მეტყველებს; დამშვენდა სოფელი მაღაროსკარი, სოფლის საბჭოს აღმასკომს ახლა ახალგაზრდა კაცი გიორგი მაჩხოშვილი თავკაცობს, მისი მზრუნველი ხელიც დაეტყო ყველაფერს, შენდება ახალი ადმინისტრაციული სახლი, კლუბი, ბიბლიოთეკა, კავშირგაბმულობის ქვანძი, საბავშვო -ბაღი.

მაგრამ ეს ყოველივე მხოლოდ უცხო თვალს თუ მოხიბლავს, რადგან აქაური რიგითი მშრომელიც და ხელმძღვანელიც ერთობ დიდი საზრუნავით არიან შეპირვებული, ისინი არაგვის ჭალებში მოფენილი ორსართულიანი სახლებისა და ამ ამაყად წარმოსათქმელი ციფრებისა და პროცენტების მიღმა იყურებიან, ხოლო იქ მართლაც არის სიძნელეები, რომელთა შემჩნევა ძნელი არ არის და მათთვის თვალის მორიდებაც არ იქნება გამართლებული.

●

არის პრობლემები, რომლებიც ობიექტურ კანონზომიერებას ემორჩილებიან და მათ გადალაპრილად მარტო მოწადინება, გარჯა და გულისხმიერება არ არის საკმარისი. ასეთია ალბათ სოფლის მოსახლეობის და, უმეტესად, ახალგაზრდობის ლტოლვა ქალაქისაკენ. ეს პროცესი საყოველთაო მოვლენაა და ჯერჯერობით არც მისი შეჩერების ეფექტური გზებია“ გამოძებნილი, მაგრამ ალბათ საქართველოს არც ერთ მხარეში არ იგრძნობა ისე მტკივნეულად მოსახლეობის მიგრაცია, როგორც ფშავ-ხევსურეთში.

უფრო სავალალოა, რომ მოსახლეობის იმ ნაწილიდან, რომელიც ჯერ კიდევ მთაში ცხოვრობს, ძალზე მცირეა შრომისუნარიანთა რიცხვი: 560 კომლიდან მხოლოდ ასობით შრომისუნარიანი კოლმეურნე ითვლება.

მუშახელის ამ მცირე რაოდენობას რომ თავი დავანებოთ, მაღაროსკარის კოლმეურნეობის მესვეურებს მათი დასაქმებაც პრობლემად გადდიათ, რადგან მოსახლეობა მცირე ჯგუფებად შორ-შორსაა გაფანტული და საკოლმეურნეო საქმეზე მათი თავმოყრა ბევრ სიძნელესთან არის დაკავშირებული. ამის გამოო — ამბობს მაღაროსკარის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ალექსანდრე ტუნტაურიშვილი — ხევსურეთის სოფლებში სავალდებულო მინიმუმი მხოლოდ 35 კაცდღეს შეადგენს თითოეულ შრომისუნარიან მამაკაცზე, ხოლო ფშავის სოფლებში ეს რიცხვი 80 კაცდღემდე აღწევს.

მთიელები საბარო გზას ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში დაადგნენ. აითვისეს შირაქის უკიცრიელი ველები, მოეფინენ თელავის, ყვარლის, ახმეტის, საგარეჯოს, მანგლისის, გარდაბნის რაიონებს; იქაც მოიანი და ტყიანი ადგილები აირჩიეს, ოდნავ მაინც რომ ჰგავდა მათ სამშობლოს, თუმცა მას კი ვერასოდეს შეცვლიდა, ერთი ეგ იყო — მიწა აქ უხვად იძლეოდა მოსავალს, შრომისა და ცხოვრების პირობები გაუმჯობესდა, შთამომავლობასაც მეტი საშუალება მიეცა სწავლისა და ქვეყანაში გამოსვლისათვის, მაგრამ მთიელის სული მთაში დარჩა, ოფლიანად მამა-პაპათა უძველეს ნამოსახლარზე ტრიალებდა და ამოსკდა უსაშველო მონატრებით გაჟღენთილი სტრიქონები: „შირაქში, თურმანაულო, თავბედი ჩამოგტირისა, ვეღარცად ხედავ ჯიხვებსა, არც ნიავ გიქრის დილისა, ხმა აღარ გაგიგონავს ჭიუხში შურთხთა სტვირისა“.

მაგრამ თუ წარსულში მოსახლეობის ადგილგადანაცვლება სხვა მრავალ პრობლემასთან იყო დაკავშირებული, დღეს მოსახლეობის მიგრაციის მთავარ მიზეზს მთის სოფლების უგზოობა, მისი კულტურული და ეკონომიკური ცხოვრების დაბალი დონე შეადგენს.

სრული უგზოობის პირობებში ცხოვრობს მთელი შუაფხოსა და უკანა ფშავის ხეობა, ასეთივე მდგომარეობაშია პირიქითა ხევსურეთის სოფლები. ფშავ-ხევსურეთში, ისიც ნაწილობრივ მხოლოდ ბოლო ხუთწლეულში გაუვანილი იქნა ელექტროდენი, საავტომობილო გზის გაყვანა კი ჯერაც არ არის მოთავებული.

მთელი არაგვის ხეობაზე არათუ კულტურის სახლი, ერთი წესიერი კლუბიც კი არ არის, სადაც კინოფილმის ნორმალური ჩვენება შეიძლებოდეს; მაღაროსკარში ამ მიზნით საკოლმეურნეო საწყობისთვის განკუთვნილ შენობას იყენებენ, ხოლო ჩარგლში კინოფილმებს სკოლის დერეფანში აჩვენებენ.

უარეს დღეშია სამედიცინო მომსახურება. მთელ ფშავ-ხევსურეთში მხოლოდ ორი ექიმი მუშაობს — მაღაროსკარსა და ბარისახოში, ხოლო პირიქითი ხევსურეთისა და უკანა ფშავის მხარის სოფლები სამედიცინო მომსახურების გარეშეა დარჩენილი. მთელ ხეობაში არ მოიპოვება აფთიაქი; ამ რამდენიმე ხნის წინათ მაღაროსკარში პატარა აფთიაქი იყო გახსნილი, ახლა იგი რატომღაც გაუუქმებიათ, ხოლო შენობა ზამთარში ჩამოცეცხლა და გამოკეტილი აფთიაქი მთელი თავისი ინვენტარით და მედიკამენტებით დიდოთვლობას მიწასთან გაუსწორებია.

ვერა და ვერ მოგვარდა კავშირგაბმულობა, ფშავ-ხევსურეთი მხოლოდ ერთი ხაზით და ისიც შეფერხებებით უკავშირდება რაიონულ ცენტრს.

მოსახლეობის მიგრაციისა და მოსწავლეთა უმცირესობის გამო უკანასკნელ ათ-თხუთმეტ წელიწადში მარტო ფშავში დაიხურა ზეგნა, ერანტიის, კანატიის, მიგრიაულთის, აფშოს, ხომის, მუქუს, ახადის, მათურის, ხოშარის დაწყებითი სკოლები, 8-წლიანი სკოლა უკანა ფშავში; დახურვის პირას არის მისული ჩარგლის 8-წლიანი სკოლა, ხოლო მაღაროსკარის საშუალო სკოლაში მკვეთრად კლებულობს მოსწავლეთა რაოდენობა.

ფშავ-ხევსურეთის გზაზე დამდგარი მგზავრი მრავლად შეხვდება ხელჩაქნეულ, გულგატეხილ ადამიანებსაც, რომელთაც აქაური ცხოვრების მოწყობის იმედი გადაუწურავთ და თვალი ბარისკენ გაურბიათ, მაგრამ მათ რიცხვს გაცილებით სჭარბობს იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც დღენიადაგ თავიანი მშობლიური კუთხის ავ-კარგზე ფიქრობენ, მისი მომავლის განჭვრეტას ცდილობენ და ამ მომავალს იმედით შეჰყურებენ.

●

უკანასკნელ წლებში ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში მომხდარმა სასიკეთო ცვლილებებმა თავისი კეთილნაყოფიერი გავლენა ფშავ-ხევსურეთის ცხოვრებაზეც მოახდინა. მარტო ის რად ღირს, რომ დაიწყო და თითქმის სანახევროდ მოთავდა მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა ყინვალიდან შატილამდე; საგრძნობლად იმატა ფშავ-ხევსურეთის საავტომობილო გზის მშენებლობის ტემპმა, ახლა მთავარი ის არის, რომ ზაფხულში მაინც რეგულარული გახდეს საავტომობილო კავშირი პირიქითი ხევსურეთის სოფლებსა და რაიონულ ცენტრს შორის, აგრეთვე დაჩქარდეს გზის იმ ნაწილის საექსპლოატაციოდ გადაცემა, რომელიც ყინვალის წყაროს განვითარება საკვები ბაზის განვითარებასაც გულისხმობს. ამიტომ მოითხოვენ მაღაროსკარის კოლმეურნეობის მესვეურები ასე დაჟინებით კუმეტისა და კაწალხევის სათიბებით მდიდარი მთების ათვისებას, იქ საავტომობილო გზის მიყვანას.

მოსახლეობის მიგრაციის შეჩერების ერთ-ერთი საშუალება უდავოდ ისეთი საწარმოების გახსნაც იქნებოდა, რომლებშიც მასობრივად დასაქმდებოდა მოსახლეობა და უფრო მეტად კი ახალგაზრდობა,— მთელ ფშავ-ხევსურეთში ხომ არავითარი საწარმო არ არსებობს;

ვისაც ზაფხულში არაგვის ჭალაზე გაუვლია, უცილოდ შენიშნავდა ჩარგლის გადასახვევთან, ვაჟას წყაროს მიდამოებში მოწყობილი ასობით კარავსა და ჯოხს, რომლებშიც დიდი გაჭირვებით, ანტასანტარიისა და სამედიცინო ზედამხედველობის გარეშე ცხოვრობენ და მეურნალობენ საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოსული ავადმყოფები. სპეციალისტების დასკვნით არაგვისხეობის მინერალური წყლები უებარი სამკურნალო თვისებებით გამოირჩევა. მაშ რაღა უშლის ხელს, დღემდე რომ ვერ მოხერხდა აქ თუნდაც ერთი სანატორიუმის აშენება და მინერალური წყლის ჩამომსხმელი წარმოების გაფართოება?

მაღაროსკარის საშუალო სკოლაში მიჩვენეს ქსოვის წრის წევრთა საოცარი ოსტატობით შესრულებული ნამუშევრები, საბედნიეროდ ჯერ კიდევ არ გამქრალა განვეძული ფშაური წინდა-საფეხურისა, ხურჯინისა და ჯეჯიმ-ფარდაგის ქსოვის ხელოვნება, ამ ხელოვნების მაღლი აქამდე მოჰყოლიათ იმ გოგონებს, რომელთაც ალბათ აღარც უნახავთ ქსელი და ჯარა, მაგრამ ძალზე უყვართ წინაპართა საქმე და მშვენივრადაც აგრძელებენ მას. არ შეიძლება არ დაეთანხმო სკოლის დირექტორის გოგი თურმანაულის აზრს, რომ მოსახლეობის დამგრეველსა და დასაქმებას დიდად შეუწყობდა ხელს ფშავ-ხევსურეთში პატარ-პატარა საწარმოების გახსნა, რომლებიც დაამზადებდნენ ხალხური ხელოსნობის ნიმუშებს.

ამ აზრს კიდევ უფრო განამტკიცებს ის აღფრთოვანება, რაც თბილისელებმა და დედაქალაქის სტუმრებმა გამოხატეს თუშური ფარდაგების გამოფენის დათვალიერებისას, ამ ცოტა ხნის წინათ რომ გაიხსნა მხატვრის სახლში.

ან რამდენს კარგავს უცხოელი თუ საბჭოთა ტურისტი, რომელიც ლსაცავის მშენებლობასთან დაკავშირებით ახლად იქნა გაყვანილი.

მაინც რა იხსნის, რა შეინახავს მთას? — ეს საზრუნავი არ ასვენებთ ფშავ-ხევსურეთის მოჯირნახულეებს, აქაური გლეხკაცსა და ინტელიგენციის წარმომადგენლებს. ამ ზრუნვაში ყველა ერთ დასკვნამდე მიდის—ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების თანამედროვე პირობების შესაბამისად მოწყობა.

ნუთუ მართლა ასეთი უნაყოფოა ეს მხარე? ნუთუ მართლა არ არსებობს პირობები ამ მხარის ეკონომიკური გაძლიერებისათვის?

არსებობსო, ამბობენ ფშაველ-ხევსურნი, და „რად არ უნდა დავუჯეროთ აქაური კაცის გულისხმას. მთის სოფლების მარჩენალი ოდითგან ცხვარი და ძროხა ყოფილა და აქაური საზოგადოებრივი თუ კერძო მეურნეობის პროფილს ახლაც მეცხოველეობა განსაზღვრავს. მთიელთა ცხოვრების საძირკვლად ისევ მეცხოველეობა უნდა დარჩეს, ხოლო მეცხოველეობა ჩამოდის საქართველოში და შატილისა და მუცოს განსაცვიფრებელი არქიტექტურული ანსამბლების უნახავად ბრუნდება უკან, უგზოობის გამო.

რა თქმა უნდა, საბოლოო სიტყვა ამ საქმეში სპეციალისტებს, საგეგმო და ეკონომიკის მართვის ორგანოებს ეკუთვნით, მაგრამ ალბათ მეტი მონდომება, ყურადღება და პრინციპულობის გამოჩენა მართებს თვით რაიონის ხელმძღვანელობას, თუნდაც იმ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, რაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ არის დასახული მთის მოსახლეობის ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების გასაუმჯობესებლად.

●

...და დღეს მაინც ფშავ-ხევსურეთი არათუ უცხო თვალისათვის, არამედ აქ დაბადებული და გაზრდილი კაცისთვისაც უფრო ნანგრევებისა და ნასოფლარების უზარმაზარი სამყაროა, ვიდრე სიხალსავსე ცხოვრებით მცხოვრები, ცივილიზაციის ყველა სიკეთეს ნაზი არები მხარე.

აყრილან, გადასახლებულან გოგოლაურები და უძილაურები, ხოშარელები და მათურელები, ახადლები და უკანაფშავლები...

ხოშარის აღმართს რომ მოათავებს კაცი, თვალწინ უზარმაზარი ნასოფლარი გადაეშლება, ალბათ საუკუნეთა განმავლობაში შენდებოდა და მტკიცდებოდა ფშავის ეს განთქმული სოფელი, ეამთა სიავეს ვერ წარუხოცია ქვითკირის მძლავრი კედლები, ორსართულიანი სახლების ნაშთები, უძველესი აკლდამები, ხოლო იქ, სადაც „ბორი რამ ჩასდგამს შუბისწვრამდ, მუხა-იფნებით ფარული“, ხოშარის ადგილისდედა, ცოტა უფრო ზემოთ — პირჩაშავებული აკლდამა, სადაც, ხალხის რწმენით, სანათა და მისი შვილები განისვენებენ.

აქ ყველაფერი ვაჟასეულია, დიდი პოეტის მიერ თითქმის ნატურალური სიზუსტით აღწერილი და უკვდავყოფილი. თითქოს ახლაც უცხო კაცის გამოჩენაზე მოსთქვამს ხოშარის ხატასკარზე შემდგარი შაოსანი — ჩვენი მარადიული, მწუხარე დედა: „მადლობა ღმერთსა, თუ კიდევ მამრი მიწაზე დადისა“.

ირგვლივ კი ოდინდელ მკვიდრთაგან მიტოვებული მთები დამდგარან, თეთრად ჩამოქაფული ჩანჩქერებით შუბლდამშვენებულნი, ნაირფერი ყვავილებით გადახატულნი და უსაზღვროდ ლამაზები.

ამყვები ცოხისთავს, კლდოვან ქედებს გადაივლი და ზედ ბორბალოს ძირას არაგვის დაბადებას შეეხვრები. ვისაც ბუნების მშვენიერებითა და გრანდიოზულობით აღტაცების უნარი შესწევს, მისთვის ეს ჭეშმარიტად ღვთაებრივი წყაროა: მიწის წიაღიდან ამოსჩქეფს ყინულივითი ცივი, ანკარა ნაკადული, მის ზევით ჩამოწოლილია ზვავი, რომლისთვისაც აგვისტოს მხურვალე სხივებსაც ვერაფერი დაუკლია; ის კვებავს და ახარდოებს ახალშობილ მდინარეს, მისი გულუფხი და კეთილი მშობელია.

გადაივლი ქუდიელის მთას, გახვალ ანდაქის ქედზე და თვალწინ პირიქითი ხევსურეთი გადაეშლება, ხეობის ფსკერზე მდინარე არღუნი მიიკლაკნება, ხოლო სულ ახლოს მარადიული თოვლით მოსილი კავკასიონის მწვერვალები ასვეტილან.

დღეს განახლების და აღორძინების ეამი დასდგომია ჩვენს მთასა და ბარს, ძველ ფუძეზე ახალი ცეცხლი ინთება, ჭერემ-ქალაქის და უდაბნოს მდუმარება დაარღვია ახალმოსახლეთა ერიამულმა.

მთიელი მთაში მიბრუნების იმედს მუდამ გულით ატარებდა და დღესაც ატარებს, ალბათ არც ისე შორეულ მომავალში კვლავ ახმიანდებიან ფშავ-ხევსურეთის ნასოფლარებიც, მობრუნდებიან ისინი, ვინც ოდესღაც ცრემლით გამოეთხოვა მამა-პაპათა მიწას, მობრუნდებიან მათი შვილები და შვილიშვილები, აღსდგება ჭერი და კერია, დაიწყება ახალი ცხოვრება.





სურათებზე: „შატილი“ (მხატვარი — ვ. დონდოლაძე); ახალი გუდანის პროექტი (არქიტექტორები — ი. მარგიშვილი, დ. მორბედაძე. ნ. მჭედლიშვილი).

უდაბნო გაცოცხლდა!

წინათ, ოდესღაც, აქაც სოფელი ყოფილა, ვაზოვანი, ყვავილოვანი, ბაღებითა და ქართული ეივნიანი სახლებით... ყოფილა სოფელი უდაბნო...

ახლა გარეჯის უკაცრიელ, ტრიალ ზეგანს შეფარებია უდაბნოს ნასოფლარი. ის წალკოტი, რომელიც უწინ ყოფილა ამ მიწაზე, დღეს სიცარიელის სიჩუმეს მოუცავს.

დღეს სოფელ უდაბნოში არქეოლოგიური გათხრები მიმდინარეობს. აღმოჩნდა არაერთი საყურადღებო ექსპონატი, რომელიც ამტკიცებს ამ მწირი მიწის ნაყოფიერებას და სიუხვეს. ერთი მათგანი —წინაპართა ქვეყრთხი — ამიერიდან სოფელ უდაბნოს სიმბოლურ რელიქვიად დარჩება, რომელიც ამას წინათ გამართულ ზეიმზე, გარეჯის არქეოლოგიური გათხრების ხელმძღვანელმა, პროფესორმა კიაზო ფიცხელაურმა გადასცა სოფლის თავკაცებს.

საიდან იწყება სოფელი უდაბნო?

ბევრი უცნაური ბედის სოფლებია საქართველოში. მათ შორისაა უდაბნოც. ჩვენს დროში, პირველად 1927 წელს გაუწოდა სოფელს დახმარების ხელი ახალგაზრდა საბჭოთა საქართველოს ხელისუფლებამ. სოფელში, რესპუბლიკაში ერთ-ერთი პირველი მეცხვაურეობის სპეციალიზებული მეურნეობა შეიქმნა, სადაც ახალი ჯიშის ცხვარი გამოიყვანეს, სახელიც გაითქვეს და მოწინავეთა რიგებშიც ჩადგნენ.

შემდეგ ბედმა ისევ უყალა სოფელს, ეს მაშინ, როდესაც უდაბნოს საბჭოთა მეურნეობა გარდაბნის რაიონს გადასცეს, სოფელში მეურნეობის ადმინისტრაცია გაიაუქმეს და ჯანდაბაში გადაატანეს. შეიქმნა დაცარიელების საფრთხე და ოცოდე წელიწადში დაცარიელდა კიდეც. 1975 წელს, როდესაც უდაბნოს საბჭოთა მეურნეობა საგარეჯოს რაიონს დაუბრუნდა, სოფელს 15 ოჯახიღა შემორჩენოდა. მას უმალ ამოუდგა მხარში რაიონის ხელმძღვანელობა და უდაბნოს აღორძინების ახალი გეგმა შეიმუშავა. გაიქმა საგარეჯოს-უდაბნოს სამანქანო ჯგუფი, გაიხსნა სკოლა, ბაგა-ბაღი, სამედიცინო პუნქტი, ფოსტა, ბიბლიოთეკა... და ვინ იცის, უკვე მერამდენედ, ისევ აღდგა სოფელი უდაბნო. მშობლიურ კერას დაუბრუნდნენ მარტაგოლები და ბარიხაშვილები, ქიზიყელაშვილები და ეორეულაძეები, ბოფხოშვილები და მერაბიშვილები, აფციაურები და გიგაურები... დღეს უკვე უდაბნოში 70 კომლი ცხოვრობს.

ამას წინათ კი უდაბნოს მიწაზე დიდი ზეიმი იყო. სოფელში შეიქმნა უდაბნოს სახოფლო საბჭოს აღმასკომი, რომელიც სათავეში ჩაუდგება ამ კუთხის აღორძინების საქმეს... სულ მალე უდაბნოს მიწა-წყალი კეთილმოწყობილ კუთხედ იქცევა. ამჟამად კი სოფლის თავკაცებს კარგი ნობათი აქვთ მომავალ უდაბნოელთათვის: საფუძველი ჩაეყარა 22 საცხოვრებელ სახლს, ზოგი მათგანი მოუსწრიათ და აუშენებიათ კიდეც და ახლა მობინადრეებს ელოდეს. სწორედ ზეიმზე გადაეცა ერთ-ერთი სახლის გასაღები ახალგაზრდა წყვილს, რომელსაც სოფელმა საგანგებოდ გადაუხადა კომკავშირული ქორწილი.

უდაბნოში გაიმართა სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს პირველი დამფუძნებელი სესია. სესიაზე ბეჭობდნენ, თუ რა უნდა გაკეთდეს, რათა რაც შეიძლება მალე შეეხსნას ხორცი გეგმებს.

სესიის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ედუარდ შევარდნაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზურაბ პატარიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები გურამ ენუქიძე და ჯუმბერ პატიაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თამარ ლაშქარაშვილი.

სესია გახსნა პარტიის საგარეჯოს რაიკომის პირველმა მდივანმა მედეა მეზვრიშვილმა. იგი დაწვრილებით შეეხო უდაბნოს წარსულსა და მომავალს, სამუშაოებს, რომლებიც უნდა შეასრულონ მშენებლებმა და ახალი დაბის მცხოვრებლებმა.

სესიაზე სიტყვა წარმოთქვა ამხანაგმა ედუარდ შევარდნაძემ.

უდაბნოსკენ მიმავალ გზაზე იმედის შუქივით მიგვყვება ფიქრი, რომ მალე, ხულ მალე სოფელი უდაბნო, ღონიერი და გამძლე, შეემატება ქართულ სოფლებს. შეემატება ქართული პურითა და მარილით...

ძირძველ ნაფუძარზე აღმდგარი სოფელი, ჩვენი დღეების პირმზო, მხარს ზლის და ნათლის შუქით ბრწყინავს.

მხატვრული შემოქმედების ფსიქოლოგია

გიორგი ფაუტაშვილი

საბჭოთა ჰუმანიტარულ მეცნიერებაში უკვე ორი ათეული წელია, რაც მაღალი პომპიზონელობის დონეზე დაისვა მხატვრული შემოქმედების კომპლექსურად შესწავლის საკითხი. ამ ბნის მანძილზე არა ერთი თუ ორი წიგნი გამოქვეყნებულა იმის თაობაზე, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ეს წამოწყება და რა გზებითა და მეთოდებით უნდა წარმოებდეს ამგვარი კვლევა-ძიება. და, მაინც, მცირეა გამოკვლევები, რომლებიც მეტ-ნაკლებად მაინც უპასუხებენ კომპლექსური კვლევის მოთხოვნებს. მათ შორის აკაკი ვასაძის „მხატვრული შემოქმედების ფსიქოლოგიის საგითხები" (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო" 1979 წ.) უთუოდ გამოირჩევა მასშტაბურობით, პრობლემატურობითა და მეცნიერული ანალიზის სიღრმე-სისავსით. წიგნში დასმული პრობლემები დამუშავებულია რამდენიმე მეცნიერების — ფსიქოლოგიის, ესთეტიკის, ფილოსოფიის, შემოქმედების ფსიქოლოგიის, ლიტერატურის თეორიის და კრიტიკის პოზიციებიდან. გაწეულია დიდი შრომა, რომელმაც საგულისხმო ნაყოფი გამოიღო: საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობაში შეიქმნა წიგნი, რომელშიც მხატვრული შემოქმედების კარდინალური საკითხები გაშუქებულია კომპლექსური კვლევის მეთოდებით. და, რომელიც მთელი სისრულეთი პასუხობს ასეთი კვლევისადმი საკავშირო პრესაში წაყენებულ მოთხოვნებს.

აკაკი ვასაძის სარეცენზიო წიგნი, მის მიერ უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებული სხვა გამოკვლევები ცხადყოფენ ჩვენში მეცნიერების ახალი დარგის — მხატვრული შემოქმედების ფსიქოლოგიის მყარად დაფუძნებას ქართულ ჰუმანიტარულ მეცნიერებაში. მხატვრული შემოქმედების ბუნების ამგვარი სისტემატური ანალიზი ფსიქოლოგიის პოზიციებიდან

კრიტიკა

მთელი სისრულითა გამოვლინდა ავტორის შემოქმედებითი დიაპაზონი — პრობლემის მეცნიერულად გაშუქების მრავალმხრივი შესაძლებლობები. აქ ავტორი წარმოგვიდგება არა მარტო განწყობის თეორიის შემოქმედებითად ამოვისებლად და მხატვრული შემოქმედების ბუნების თეორეტიკოსად, არამედ მაღალი გემოვნების კრიტიკოსადაც (მხედველობაში გვაქვს მის მიერ განალიზებული ნ. ბარათაშვილის, გ. ტაბიძის, ს. ჩიქოვანის, ა. მირცხულავას ლექსები). სწორედ ამ თავში ამჟღავნებს ავტორი საკითხის კომპლექსურად კვლევის იშვიათ უნარს.

აკაკი ვასაძე სრულიად სამართლიანად და ზუსტად გამიჯნავს ერთმანეთისაგან ემოციისა და გრძნობის ხასიათს, ამ განცდათა ფუნქციას მხატვრულ შემოქმედებით პროცესში, და პრობლემაზე მსჯელობის დასაწყისშივე ნათელყოფს „მხატვრული გრძნობის", როგორც ცნების, გამოყენების უფლებამოსილებას. განიხილავს რა მხატვრული გრძნობის ფორმირების საკითხს არაცნობიერის მიმართულების აქტივობიდან გამომდინარე, ავტორს მნიშვნელოვანი კორექტივი შეაქვს ჩვეულებრივ და მხატვრულ გრძნობათა კავშირის თაობაზე დღემდე არსებულ შეხედულებებში: — კერძოდ, რომ მხატვრული გრძნობა არ არის „ფანტაზიით ტრანსფორმირებული იგივე ჩვეულებრივი გრძნობა" (ლ. ი. ვიგოტსკი), არამედ განწყობის აქტივობისაგან აღმოცენებული ახალი ტიპისა და მიმართულების გრძნობაა. შემდეგ ავტორს გვაძლევს მხატვრული გრძნობის ბუნების გამოწვლილვით ანალიზს და, არ შეეცდებით, თუ ვიტყვით, რომ იგი პირველად აუენებს მეცნიერული კვლევის ობიექტად ამ სპეციფიკური შემოქმედებითი ემოციური განცდის განსხვავებულობას არა მარტო ჩვეულებრივი, არამედ ესთეტიკური გრძნობებისაგან.

ძირითად პრობლემებზე ასეთი მასშტაბური მსჯელობანი ავტორს საშუალებას აძლევს წიგნის დასასრულში მოგვცეს ერთგვარი შემაჯამებელი თავი, რომელშიც განხილულია მხატვრული შემოქმედებითი პროცესის სტრუქტურა, და გამოყოფილია მისი განვითარების საფეხურები.

მხატვრული შემოქმედებითი პროცესის საფეხურების ა. ვასაძის მიერ მოცემული სქემა ორიგინალური და საინტერესოა. მაგრამ აქ იგი შემოქმედებითი პროცესის პირველ საფეხურად პოეტურ ხატს აცხადებს. თუ შემოქმედებით პროცესს მივუდგებით მხოლოდ როგორც ხელოვანის მიზანდასახულ, იდეით დამუხტულ ქმედებას, მის პირველ საფეხურად პოეტური ხატის აღიარება კანონზომიერი აღმოჩნდება. მაგრამ განა თვითონ ავტორმა წინა თავებში არ დაგვიდასტურა, რომ ცნობიერად მიმდინარე შემოქმედებით მუშაობას უძღვის არაცნობიერის აქტივობა, რომ ამ პროცესს ბადებს იმპულსი და კვებავს არაცნობიერის მიმართულება? მართალია, თავის სქემაში ავტორი განწყობას ცენტრალურ ადგილს მიაკუთვნებს, რომლის გარშემოც ბრუნავს, ვითარდება თითოეული საფეხური, მაგრამ ეს განწყობა ხომ უნტარულად უნდა ვიგულოთ და არა იმ იმპულსად, რომელიც ბიძგს აძლევს ხელოვანს კონკრეტული მუშაობის ჩასატარებლად. ჩვენი აზრით, პირველ საფეხურად ავტორს, მისივე მართებული და ღრმად გაშუქებული კონცეფციის თანახმად მომწიფებული განწყობა — იმპულსი უნდა გამოცადებინა. ეს არის ჩვენი მთავარი შენიშვნა, რომელიც, მიუხედავად პრინციპულობისა, არაფერს ვნებს წიგნის ღირებულებას, რადგან აკაკი ვასაძის მიერ შექმნილი შრომის ღირებულება, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ფრიად შთამბეჭდავია. არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ იგი ქმნის მეცნიერულად დასაბუთებულ ახალ მიმართულებას ხელოვნების შემსწავლელ მეცნიერებათა სფეროში, კერძოდ, მხატვრული შემოქმედების ფსიქოლოგიაში. აკაკი ვასაძის მიერ მოცემული შეფასებანი ინსპირაციისა და პოეტური ხატისა, მხატვრული გრძნობის ბუნებისა და თვისებების მისეული ანალიზი — ახალი სიტყვაა ლიტერატურათმცოდნეობაში.

„დამდგარა ჩემი მკათათვეც"

ელდარ კერძევაძე

გივი ძნელაძის ლექსები, რომლებიც მრს ახალ წიგნშია თავმოყრილი (გ. ძნელაძე. ლექსები „საბჭოთა საქართველო" 1979 წ.), ადამიანის, სიცოცხლის, მიწისა და მზის სიყვარულითაა შთაგონებული. პოეტი ცხოვრებას აღიქვამს როგორც სიკანსაღისა და სილამაზის, სიყვარულისა და ურთიერთპატივისცემის დღესასწაულს. ნამდვილი სილამაზე ხშირად ის კი არაა, რაიც ყველასათვის მისაწვდომი და ცალსახია, — მის შესაცნობად ესთეტურ გემოვნებასთან ერთად საჭიროა დიდი მოთმინება და გულისხმიერება. გივი ძნელაძის ლექსების საერთო ტონალობა სიცოცხლის ოპტიმისტურ აღქმას ადასტურებს. პოეტის ოპტიმიზმი არ არის მსუბუქი და ტრივიალური. სევდაშერეული ოპტიმიზმით აღიქვამს იგი ცხოვრებას და ხშირად ოპტიმიზმისა და სევდის ასეთი ბუნებრივი თანაარსებობითაა შთაგონებული მისი საუკეთესო ლექსები.

ორმოცდაათ წელს გადაცილებული კაცისათვის ძნელია და ნაკლებ ბასიბარულო იმის აღქმა, რომ წლები გადიან, რომ ყველა საგანს უკვე თავისი სახელი ჰქვია, რომ მოსახდენი უკვე მომხდარა... და ეს დაძაბული, დრამატიზმით აღსავსე მონოლოგი, რომელიც საკუთარი თავისადმია მიმართული, თანდათან მძაფრდება: „ხანდახან. — მამა ნუ წამიწყდება, — ჭადის სახელიც კი მავიწყდება... საცაა სიბერე დაიწყება, — თუმცა რა ღმერთი გამიწყრება, სიტყვა ერთხელ კიდევ არ ავანთო!"..

გ. ძნელაძე გულდინჯი შეოქმედია, ასე მგონია, პოეტი ლექსს კი არ წერს, არამედ მასთან სტუმრად მისულს (მკითხველს) ესაუბრება, დინჯად, პატიოსნად, კაცურად. იმაზე რაც იცის, რაც განიცადა. რითაც იცხოვრა და ცხოვრობს, რაც აწუხებს და ახარებს. გულისხმიერება და იუმორი ისეა შეზავებული, რომ ხელად გრძნობთ მასპინძლის ბუნებრიობას, გულწრფელობას, გულზარიანობას. „შემოიარე მეგობარო, საღამოს ჩემთან... ამოიძახე!.. დაგახვედრებ გუზგუზა ბუხარს, შემოიარე... ექვსისთვის მოდი! სიტყვა — სიტყვაა, გელოდები... ჩემი ძმა თუ ხარ!.. ვიღაპარაკოთ... თითო ჭიქაც... ჰა, თითო ბოთლი!.. თორე, ხვალ იქნებ... დალახვროს ღმერთმა!.. შემოიარე, მეგობარო, საღამოს ჩემთან!.."

ამ პატარა ლექსში კარგად ჩანს გივი ძნელაძის ადამიანური თვისებები: მოყვასის სიყვარული, სითბო, ადამიანთან შეხმიანება, თანადგომა, რაღაცნაირი ნაღვლიანი სიხარული... მხოლოდ ამ თვისებებით ეომადლებულმა კაცმა შეიძლება აღმოაჩინოს, დიახ, აღმოაჩინოს, რომ „ადამიანი ლაპარაკის დროს მღერის"...

გივი ძნელაძის ლექსებში მკითხველი ერთის შეხედვით ვერ იპოვის თვალისმომჭრელ მეტაფორებს, ასოციაციებით დაუურსულ ქვეტექსტებს, სამყაროს რელატიური აღქმის ნიუანსებს, გასაოცარ მხატვრულ სახეებს... რიტმიც თითქოს მშვიდია... მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით... პოეტის საუკეთესო ლექსებში ემოციურ-აზრობრივი ნაკადი უფრო ღრმადაა შეფარული, ვიდრე ეს ერთის შეხედვით ჩანს. ის, რაც ამა თუ იმ ლექსში მსუბუქად და ბუნებრივადაა გამოპაატული, შემოქმედებით პროცესში სულიერი ენერგიის დიდ დაძაბვას მოითხოვს, — რათა „მასალის წინააღმდეგობა" დაძლეულ იქნას. ამას განსაკუთრებით მოითხოვს ისეთი კონცენტრირებული ფორმა ლექსისა. როგორიც ლირიკული მინიატურაა. გივი ძნელაძესაც აქვს რამდენიმე ასეთი ლექსი. აი, თუნდაც „ვაშლის ხე თოვლში". „გაყინულ თოვლზე ეცემა სხივი და სანთეულივით დნება... ამ ვაშლის ხეზე გუშინ საღამოს თეთრი თიკანი ება".

ასეთი ლექსების ინტერპრეტაცია ალბათ დაწერაზე უფრო ძნელია, რადგანაც ასეთი ლექსი მხოლოდ უნდა აღიქვა, უნდა აღიქვა მთლიანად, რადგან მას ნაწილები არ გააჩნია, რადგანაც მისი დაშლა არ შეიძლება.

გივი ძნელაძე ის პოეტია, რომელმაც კარგად იცის რას წერს და რა ხურს თქვას... იცის სიცოცხლის ბედი, მაგრამ ცხოვრებისეული წვრილმანებისათვის არ სცალია, არა იმიტომ, რომ ამის გარეშე ცხოვრობს, არამედ ხურს ადამიანებს რაღაცნაირად შეუმსუბუქოს სევდა და წუხილი, ეს კი თავისთავად მოითხოვს საკუთარის გაღებას.

განა ცოტანი არიან დღეს ჩვენს გვერდით ადამიანები, რომლებიც საკუთარი კეთილდღეობისათვის იბრძვიან მხოლოდ და ამ გზაზე არავის და არაფერს ზოგავენ. გივი ძნელაძეს არცერთი ლექსი არა აქვს დაწერილი კონკრეტულად ამ თემაზე, მაგრამ მის ლექსებში კარგად ჩანს ის მორალური სიკანსაღე და სიწმინდე, რაიც ჩვენს დროსა წინა პლანზე დაყენება ზნეობრივმა მაქსიმალიზმმა. პოეტის მაგიდა არ არის, რომ ცხოვრება მოონებული კადრების მიხედვით „აგო. რაც გსურს დასტოვო, რაც არა და ამოიღო. აწმყო და წარსული დროით არ განიყოფა. ლექსსა და ცხოვრებას შუა ზღვარი არ უნდა იყოს, რადგან პირველი მხოლოდ მეორის გამოა ხაინტერესო. დღეს, კოსმოსის ეპოქაში, როდესაც ადამიანმა მთვარესაც კი ფეხი დაადგა და თვალი უფრო შორეული პლანეტებისაკენ უჭირავს, კიდევ უფრო მეტი აზრი შეიძინა „ადამიანთა ბიწაზე" ყოფნამ და ცხოვრებამ...

გივი ძნელაძე ის პოეტია, რომელიც მიწას განიცდის როგორც ცოცხალ სხეულს, როგორც ცოცხალ არსებას, რომელიც იცინინ, ტირის, აზროვნებს... „შენ მაძლევ ძალას, შენით მაღალს და შენით ამაყს, შენ ხარ კარგად — ჩემი ფიქრი მხოლოდ ეს არის, საუკუნეთა ქარშიაც ასეთივით დგახარ და მაგარ მკერდზე დრო გადაგდის მდინარესავით. მართლა ისეთი რა ვიგრძნო და რა უნდა ვთხოო. რაც არავის არ უგრძვნია ქვეყნად აროდეს, ოღონდ ერთს ვეტყვი, ჩემო დედავ: — ვინ ბოლოდეს დიდხანს, — შენთვის სიცოცხლეც და სიკვდილიც ოუ ძიხროდეს!.."

პოეზია სიმართლისა და სიყვარულისათვის ბრძოლაა, ზოგჯეო „დღისით ღამეში ყოფნა". ხოლო „ღამით — დღეში"... მაგრამ ყოველთვის რჩება რაღაც ისეთი, რაიც აძლევნებს ადამიანს, რითაც კვლავ ხვალინდელ დღეს ზომავს, რაზეა ხიცოცხლის ამოთავთავება კვლავ და კვლავ, მთელი ძალით, ჰოელი არსებით განიცადოს.

მშვენიერი ლექსები აქვს გივი ძნელაძეს დედისადმი მიძღვნილი. მწუხარებასა და სევდაში იმდენი სიყვარულია ჩაქსოვილი, ზოგი თქმული და ზოგი უთქმელი, რომ ეს ლექსები აღიქმება როგორც უბრალო დედაშვილობის ღაღადისი, წმინდა და ძლიერი. „ბალახო — მითხარ, — დედას გაფიცებ — ბალახო — მითხარ, — ძმობას კაიცებ... ჩემო დაიკო — ქორფა ბალახო, შენი ჭირიმე — ქორფა ბალახო, გემუდარები — მითხარ ბალახო, გემუდარები — მითხარ ბალახო, — რა დაგბარა, რა დაგბარა ჩემმა საწყალმა დედამ!..

... ოღონე შეინძრა ქორფა ბალახი, უხმოდ შეირხა ქორფა ბალახი, და... ცილის მზეზე მბრწყინავი ნამი — ცრემლივით დასცდა, ცრემლივით დასცდა. — დედის საფლავზე. დედის საფლავზე საგაზაფხულოდ ამოსული ბალახს, მთლად ულულბრყვილოდ ამოსული ბალახს, ზეზე პირველად ამოსული ბალახს, ბასუხად ოასცდა... ცრემლი..."

სიკვდილი ყველაფრის შემძლე არ არის. ბალახი, რომელიც თავად არის სიკვდილზე ამოზრდილი სიცოცხლე. ამ ლექსში ისეა გაადამიანებული, რომ გგონია სოფლიდან ჩამოსული მეზობლის გოგოა, რომელმაც პოეტს დედის ამბავი ჩამოუტანა. ეს ბალახი პოეტმა სავთილეთით აანთო დედის საფლავზე და მისი წმინდა შუქი, შუქი და სითბო დედის მარადისი ხსოვნისა ასე უბრალოდ და შთამბეჭდავად მოიტანა ჩვენამდე.

გივი ძნელაძეს ორი-სამი ლექსი აქვს აკაშობლოსადმი მიძღვნილი. მაგრამ უკლებლივ მის ყველა ლექსში ჩანს მშობელი შიწის, მშობელი ხალხის სიყვარული, ქართველი კაცის გუნება და ხასიათი, წარსულზე, აწყოზე და მომავალზე ფიქრი. მე განგებ არ ჩამომთვლია გივი ძნელაძის ის კარგი ლექსები, რომლის ჩამოთვლაც უბრალოდ უხერხულია, რადგან პოეზიის მოყვარულს შეუამავლობა არ სჭირდება, მან კარგად იცის, რა უნდა წაიკითხოს, სად რა ეგულება... და საერთოდ ამ პატარა წერილის ამოცანა ეს არ იყო, მე უბრალოდ მინდოდა ჩემი სიხარული და პატივისცემა გამომეხატა უფროსი კოლეგის მიმართ, მის მიმართ, ვინც აგერ თხუთმეტი წელიწადია ჟურნალ „ცისკარში" მუშაობს და გულისყურით, ტაქტით, მეგობრული რჩევით ეკიდებოდა და ეკიდება ახალგაზრდა პოეტებს... დასაბეჭდს გზას აძლევს, ხოლო რადგანაც ყველაფრის დაბეჭდვა არ შეიძლება, დიდი თავაზითა და სიყვარულით აგრძნობინებს ხოლმე ამა თუ იმ ახალგაზრდა ავტორს თავის აზრს...

ბეშმარიტი პოეზია წარმოუდგენელია პიროვნების გარეშე. პოეზია პიროვნების ემანაციაა. ამჯერადაც ასეა: გივი ძნელაძის პოეზია, მისი ავტოპორტრეტია, — ალალი, გაჭანი, ძმური, სევდიანი სიხარულით. უკეთესი ხვალინდელი დღის რწმენით აღსავსე და პოეტის ამჭვეტყნად მოსვლაც ხომ ამითაა გაჭირთლებული..

ПОЕТУРИ АЗРИС СИЛАМАЗЕ

ГАЙОЗ ИМЕДАШВИЛИ

შუასაუკუნეთა მავრიტანულ ესპანეთში მსოფლიო პოეტური სახელის მქონე შემოეულ ჰანაგდი, შელომ იბნ გებიროლი, მოშე იბნ ეზრა, იეჰუდა ჰალევი, აბრაჰამ იბნ ჰეზრა, იეჰუდა ალხარიზი, მანეულ რომაელი იმ დროს ჰქმნიდნენ თავის შედევრებს, როდესაც ჩვენმა კულტურამ, კერძოდ პოეტური სიტყვის განვითარებამ, რუსთაველის ეპოქაში თავის მწვერვალს მიაღწია, როცა ქართულად მსოფლიო მწერლობისა და ფილოსოფიური აზრის რჩეული თხზულებანი ითარგმნებოდა. ამდენადვე, ბუნებრივად იბადება კითხვა — იყო თუ არა ცნობილი ქართული რენესანსული მიმდინარეობის მოღვაწეთათვის არაბულ-ებრაული პოეზიის სევდიანი ლირიკა? ეს დასაშვები ჩანს, თუ კი სარწმუნო აღმოჩნდება ამ პოეტების ქართულად მთარგმნელის ჭემალ აჯიაშვილის ვარაუდითაც, რომ მოშე იბნ ეზრა (1055-1139) სწორედ ის პოეტია, რომელსაც რუსთაველი ახსენებს: „ამ საქმესა მემოწმების დიანოსი ბრძენი ეზროს".

ასეთი ურთიერთობის არსებობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი უნდა იყოს, რომ XIII საუკუნის დასაწყისის აღმოსავლურ ლიტერატურულ ურთიერთობებში კარგად ცნობილმა მწერალმა ალ-ფარაჯ ბენ ჰებრაისმა მის მიერ არაბულ ქნაზე შედგენილ აღმოსავლური პოეზიის ანთოლოგიაში არად, სპარს, თურქ, ავდანელ თუ სხვა ხალხთა პოეტებს შორის ომარ ხაიამის, საადის, ჰაფეზის გვერდით მოათავსა ოთხი ქართველი პოეტის — რუსთაველის, შავთელის, ქართველი თავადისა და ანონიმის ლექსები. არაბულ ქნაზე ქართველი პოეტების ამ თარგმანთა არსებობა, რომლის შესახებ უკანასკნელ ხანებამდე არაფერი ვიცოდით, რა ღირსებისაც არ უნდა იყვნენ ისინი, დიდი შენაძენია არა მხოლოდ იმიტომ, რომ აქ რუსთაველთან ერთად შავთელია ნახსენები და ეს პირველი მოწმობაა XIII საუკუნეში თანამედროვის მიერ რუსთაველის მოხსენიებისა. თავისთავადაც ეს ფაქტი ახალ ფურცელს ზლის არაბულ სამყაროსთან ჩვენი ისტორიული ურთიერთობის შესწავლაში.

ქართული პოეზიის არაბული თარგმანები თუ ჯერ კიდევ დედანში არ არის შესწავლილი, ყოველშემთხვევაში მათი ბერძნული და ფრანგული თარგმანების არსებობაც საკმაო საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ალ-ფარაჯი, — როგორც თანამედროვე, პირადად იცნობდა ქართველ მწერალთა წრეს, რამდენადაც, როგორც ისტორიული მოწმობებითაა ცნობილი, მას კავკასიაში პოლიტიკური მისიით რამდენჯერმე უმოგზაურია, ყოფილა საქართველოშიც და ახლო ურთიერთობა ჰქონია ქართველ, სომეხ, ალბანელ ხალხებთან.

ასეთ პირობებში რითი უნდა ახსნილიყო, რომ შუასაუკუნეთა არაბული ესპანეთის გარემოში შექმნილი ებრაული პოეზიის არავითარი კვალი არა ჩანს ქართულ მწერლობაში? ამ მხრივ, არანაკლებად ისიცაა დამაფიქრებელი, რომ თუმცა სპარსეთთან ახლო უშუალო დამოკიდებულებასა და ლიტერატურულ ურთიერთობაში ვიყავით, ჩვენთვის ასევე უცნობი დარჩენილა ფირდოუსის, გურგანისა და ნიზამის გარდა მსოფლიო სახელის ისეთი პოეტები, როგორიც იყვნენ რუდაქი, ონსორი, სანაი, ანვარი, ხაყანი, ომარ ხაიამი, საადი, ჰაფეზი. ერთი სიტყვით, ქართულ მწერლობას შეუმჩნეველი დარჩა, არაბულზე რომ აღარა ვთქვათ, კლასიკური ებრაული და სპარსული ლირიკა, ე. ი. საერთოდ ლირიკული პოეზია, რაც ალბათ იმითაა გამოწვეული, რომ მაშინდელი ლიტერატურული გემოვნების მიხედვით, ეპოსის ფორმას მეტი უპირატესობა ენიჭებოდა, პოეტური სიტყვის ხელოვნება ესმოდათ როგორც თავგადასავლიანი გრძელი ამბის გალექსვა.

ბედნიერ შემთხვევად უნდა მივიჩნიოთ, რომ თუმცა დაგვიანებით, ჩვენში მაინც შესაძლებელი გახდა ქართულ ენაზე ებრაული პოეზიის მაღალმხატვრული თარგმანის განხორციელება, რაც წილად ხვდა ჭემალ აჯიაშვილს, რომელმაც ებრაული და ქართული ენებისა და პოეზიის ჭეშმარიტი ცოდნითა და სიყვარულით შთაგონებული თარგმანით ქართველი მკითხველი სავსებით უცნობ პოეტურ საოცრებას აზიარა. მან შესაფური გარდასახვის ხელოვნებით შესძლო გადაეწყვიტა უაღრესად ეროვნული ხტილის თავისებურებებით აღბეჭდილი ებრაული პოეტური ენის, აზრისა და ფორმის ქართულად გამოხატვის რთული ამოცანა.

უნდა გვახსოვდეს, რომ ჭალევის, გებიროლის, მოშე იბნ ეზრას თუ სხვათა პოეტური სიტყვის სიღრმესა და მხატვრულ სრულყოფილებას იმ დროისთვის ცნობილ მსოფლიო პოეზიაში ცოტა შეიძლება შეეტოლოს, ისე, რომ ეს დიდი შემოქმედნი თავიანი ნიჭით მხოლოდ ერთმანეთს თუ ეჯიბრებოდნენ. მათი თემატიკა, მოტივები, იდეალები თუ სტილი ებრაული ერის განსაკუთრებული ხვედრის რწმენითაა იმპულსირებული, რაც მთელ მათ პოეზიას ერთი მხრივ ლოცვად ქცეულ, ღმერთთან გაბაასებას ამსგავსებს. ერთი სიტყვით, ებრაული პოეზიის ეროვნულ თავისებურებებს მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა ღვთაებისა და სიყვარულის დიადობის ბიბლიური მოტივები, მესიანიზმის იდეის ექსტაზური უკეთქსი მომავლის ჭვრეტა, ღვთაების ფორმაში სიყვარულისა და მშვენიერების მარადიულობის სიმღერა. ესაა ის, რამაც ყოველგვარ უბედურებაში გაძლებინა ებრაული ხალხის უტეხ სულს.

აჯიაშვილის თარგმანის შესამჩნევ ღირსებას სწორედ ამ განწყობის შენარჩუნება წარმოადგენს — ამაღლებული ხასიათის ნატიფი სტილი, მდიდარი და დაუძაბავი ხატოვანი მეტყველება. ბიბლიის ენობრივი ჭსოვილით შთაგონებული ეს თარგმანი, ქართველი მკითხველისათვის თვალსაჩინოს ხდის ებრაული პოეტური სიტყვის სილამაზეს, მის აზრობრივ სიღრმეს, სიყვარულის განცდის ნაწ სუნთქვას, მასთან ერთად ბედისწერის მკაცრი განაჩენით განსჯილ ადამიანური სიხარულისა და მწუხარების განსაცდელებს — ამაოებაარარაობის შემაშფოთებელ შეგრძნებებს, ყოფნა-არყოფნის შემაეჭვებელ განცდებს, მსოფლიო სევდის მოტივებს...

აჯიაშვილის თარგმანის ყოველ სიტყვასა და თქმაში ესთეტიზმის დიდი გრძნობა გამოსჭვივის, მის ფრაზაში აზრის შინა ფორმას თანმიყოლებით შესაბამისი პოეტური ხასიათ ერწყმის. ამისათვის მთარგმნელი იყენებს პოეტურ საშუალებათა ორიგინალურ ხერხებს, პოეტურ თქმებს ამდიდრებს სიტყვისა და ხასის მოულოდნელი მნიშვნელობის ნიუანსებით, ხშირად მიმართავს ქართული ზმნის აქტიურ ფორმებს, რასაც უმთავრესად ლიტერატურული ენისა და ხალხური თქმის შემოქმედებითი გარდასახვით აღწევს. მისი წინადადება ყურადღებას იქცევს ზომიერი არქაიზების მომხიბლაობითა და შინაარსობრივი სიცხადით. ამიტომ აქ არაიშვიათად სუფთა წიგნური ლექსის ფორმებს ცვლის ხალხური მეტყველების ლაღი გამოთქმა. მოშე იბნ ეზრასთან: „დაბლა მწირი ლიტანიობს, მაღლა ცეცხლის დასენია, მოგიხატავს უფლის ბაღი, მოგიფიანდაზებია..." ან „მოთქმით ვეტყვი — სებიაო, ზღვათა გაღმა ზღვებიაო, მოგიქერგავს სევდის სახლი, მოგიდარბაზებიაო..."

წიგნური და ხალხური კილოს ფრაზეოლოგიის ეს ოსტატური მონაცვლეობა მონოტონურობისაგან იცავს ქართულად მოსაუბრე ებრაელ პოეტებს. ამ მხრივ გამოირჩევა ჭანაგდის „სიკვდილის ელეგიები", გებიროლის „მწუხრის საგოდებელი", „ეიკუთიელის დატირება", მოშე იბნ ეზრას „ეამთა საგოდებელი", „ბედისწერა", „ხებიასადმი", „სასაფლაონი", „ზმა განტეკვების გზაჯვარედინზე", იეჰუდა ჭალევის „ეამგადახული სიყვარულის საგალობელი", აბრაჰამ იბნ ჰეზრას „ამაოების საგალობელი", „ძის დატირება", იეჰუდა ალხარიზის „სოქვა მემკვიდრემან შელომოისამ", იმანუელ რომაელის „ქება სიყვარულისა".

არანაკლებად შთამბეჭდავია ძველი ქართულის ანალოგიით ნახხელარი ზმნებისათვის უჩვეულო სემასიოლოგიური ფუნქციის მინიჭება, რაც, იმავე დროს, ფრაზის ეფექტურობას ამლიერებს: ვეკარგესები, ვესატკივრები, ვიმთაგორე, შეგეტაძრები, გამოშაფერე, შეეგმთლიანო, ეზესთაება, მიიჩრდილება, მოამდელოვებს და სხვა მისთ. ასევე შესამჩნევია ნეოლოგიზმებიც — ნუგეში მომესაკლისა, ტყის სურნელებად ამოწყაროდი, რომ ვარსკვლავები გავიქვეშეთო, რაობანი საწუთროსანი, დროის მეეკვლე და მეთანდათანე და სხვა.

ჭემალ აჯიაშვილის თარგმანის ცვალებადი ვერსიფიკაციული ფორმები ყოველთვის მოხდენილი ალიტერაციისა და შერითმვის მწყობრი დინებით გამოირჩევიან, რადგან მთარგმნელს მოეპოვება რითმათა დაულეველი მარაგი და რიტმის დიდი გულისყური. ყოველ საგალობელში მსგავსად საგრძნობი სწორედ ეს რიტმის ხმაანობა, მთლიანად აჯიაშვილის თარგმანს, ერთიანი მელოდიის ხასიათს ანიჭებს.

ჭემალ აჯიაშვილი ამ თარგმანით გვაცნობს ქართული პოეტური მეტყველების, მისი მხატვრული საშუალებების, ქართული ზმნის, სინტაქსის აქტიურ ფორმებს, სიტყვის მხატვრული გამომსახველობის უსაზღვრო, დაფარულ შესაძლებლობებს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჭემალ აჯიაშვილი კვლავაც გააგრძელებს მუშაობას და ებრაული პოეზიის სხვა შედევრებსაც ასეთივე სიყვარულითა და ოსტატობით თარგმნის.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

აფხაზური ფოლკლორის საღამოები

საქართველოს ფოლკლორს იმთავითვე ამშვენებდა სხვადასხვა კუთხის მდიდარი შემოქმედება და არამარტო ამშვენებდა. ამდიდრებდა და მეტ ხმოვანებასაც მატებდა.

ახლახანს თბილისს ესტუმრა აფხაზეთის მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივი. რომლის საკონცერტო განყოფილება მთლიანად მიეძღვნა აფხაზეთის მუსიკალურ ფოლკლორს.

საქართველოს დედაქალაქში ჩამოვიდნენ: ცნობილი დღეგრძელთა ეთნოგრაფიული ანსამბლი „ნართაა" და ოჩამჩირის, გალის, ტლოუს თვითმოქმედი კოლექტივები, ინდივიდუალური შემრულებლები, მომღერალი ოჯახები. სოხუმის პიონერთა სახლის ბავშვთა ინტერნაციონალური გუნდი... ისინი ასრულებდნენ უძველეს და მდიდარ ხალხურ სიმღერებს.

მხატვრული კოლექტივების ახლანდელი გამოხვლები მიეძღვნა სკკპ XXVI ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XVII ყრილობას. ეს სტუმრობა ორი ხალხის მეგობრობისა და ძმობის ზეიმად იქცა.

18 ნოემბერს თბილისს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა დიდი კონცერტი.

კონცერტის დაწყების წინ მოწიწებულებს მიეხალმა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე გ. ორჯონიკიძე, საამაყო სიტყვაში დამსწრეთ მადლობა გადაუხადა აფხაზეთის კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარეს ს. ჟეცხავ.

მაყურებელი გულთბილად შეხვდა დღეგრძელთა დამსახურებულ ეთნოგრაფიულ ანსამბლ „ნართაას" (ხელმძღვანელი — აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე კ. ჩენგელია), გუდაუთის რაიონული კულტურის სახლის ანსამბლ „რიწას", გალის რაიონული კულტურის სახლის გუნდს, სოხუმის მოსწავლეთა სახლის კოლექტივს „ლილეს".

— ბოლო დროს აფხაზეთში განსაკუთრებული ყურადღება ეცევა ხალხური შემოქმედების დაცვას და განვითარებას. — თქვა საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ. ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, კომპოზიტორმა ოთარ გორდელმა. ეს საკითხი განიხილეს ამას წინათ სოხუმში გამართულ თათბირზე და თბილისში ჩატარებული კონცერტითაც ნათელი ხდება, თუ როგორ უვლიან. ინარჩუნებენ და ავრცელებენ ადგილობრივ ფოლკლორულ ნაგებობებს. ამ ბრძოლაში ეროვნული ენა, ეროვნული ტანსაცმელი, ეროვნული ფერწერა, ეროვნული ფოლკლორი ერთ-ერთ ძლიერ ბერკეტად ითვლება. ეროვნული ფერწერა, ეროვნული ფოლკლორი ერთ-ერთ ძლიერ ბერკეტად ითვლება. ეროვნული ფერწერა, ეროვნული ფოლკლორი ერთ-ერთ ძლიერ ბერკეტად ითვლება.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

თბილისის დღეები აჭარაში

დაიწყო თბილისის დღეები აჭარაში. აქ ჩამოვიდნენ პარტიული. საბჭოთა, კომკავშირული ორგანიზაციების, ქართული სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის, დედაქალაქის მოსწავლე ახალგაზრდობის, და მუშათა კლასის წარმომადგენლები. ამ დიდ დელეგაციას ხელმძღვანელობს პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თენგიზ მენთეშაშვილი.

მრავალფეროვანია თბილისის დღეების პროგრამა. ამ დღეებში ბათუმში საფუძველი ჩაეყრება ილია ჭავჭავაძის ძეგლს, გაიხსნება საქართველოს სახალხო პოეტის გალაკტიონ ტაბიძის ძეგლი, აჭარის მხატვართა საგამოფენო დარბაზში გაიხსნება თბილისელ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა. გაიმართება ახალი ქართული მხატვრული ფილმის „კეკეძის" პრემიერა.

18 ნოემბერს თბილისელთა ახალი ჯგუფი ჩავიდა ბათუმში: სოციალისტური შრომის გმირი პოეტი-აკადემიკოსი ი. აბაშიძე, სსრ კავშირის სახალხო არტისტები ო. თაქთაქიშვილი, ზ. ანჯაფარიძე, ი. სუხიშვილი, თ. აბულაძე, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი, ჯ. ჩარკვიანი. საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ნ. ჯანბერიძე, რესპუბლიკის სახალხო არტისტები ნ. ბრეგვაძე, გ. გეგეჭკორი, გ. სალარაძე, ვ. კიკაბიძე. საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის წევრები, ცნობილი მომღერლები.

საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტში მოეწერა „

ალექსანდრ ბლოკი

დაბადების 100 წლისთავი

„მენესტრელი უნაზესი დამისა“

«Жил на свете рыцарь бедный,
Молчаливый и простой,
С виду сумрачный и бледный,
Духом смелый и простой».

პუშკინის ამ ლექსს უსათუოდ გაიგონებთ ბლოკისადმი მიძღვნილ საღამოზე და უსათუოდ წაიკითხავთ ბლოკზე დაწერილ სტატიაში. რადგან ეს ლექსი ბლოკის პიროვნების, პოეტი-რაინდის პიროვნების ბუნებას ზედმიწევნით გამოხატავს და სწორედ ასეთი პოეტი-რაინდის იდეალი ბიბლავდა მის თანამედროვეებს და ხიბლავთ მის მემკვიდრეებს. რაც დრო გადის ამ პოეტი-რაინდის მნიშვნელობა სულ უფრო იზრდება, სულ უფრო იგრძნობა მისი ზეგავლენა ჩვენს სულიერ სამყაროზე და ბლოკი ხელახლა იწყებს თავის პოეტურ საუბარს ყოველ შემდგომ თაობასთან.

ბლოკი მეოცე საუკუნის უდიდესი პოეტია და მისი ცხოვრებისა და შემოქმედების გზა მეტისმეტად რთულია, წინააღმდეგობებით აღსავსე და შინაგანად ერთიანი. ამ საუკუნის დასაწყისში მან შექმნა „ლექსები მშვენიერ ქალზე“ და რუსეთს პოეზიაში ახალი, დამოუკიდებელი და სერიოზული პოეტის მოსვლა ამცნო. მის მსოფლმხედველობაზე ზეგავლენა იქონია ვლადიმერ სოლოვიოვის მისტიკურმა მოძღვრებამ. „მშვენიერ ქალზე“ დაწერილ ლექსებში (სწორედ ამ ციკლის გამო უწოდა გალაკტიონ ტაბიძემ ბლოკს „მენესტრელი უნაზესი დამისა“), ბლოკი ლაპარაკობს „მარადიულ ქალურობაზე“ და ძვირფას არსებაში ხედავს არა მიწიერ ქალიშვილს, არამედ ღვთაებრივის იპოსტასს. პოეტი აზროვნებს სიმბოლოებით და კონკრეტულ-მგრძნობელობითი სამყაროდან მკითხველი გადაჰყავს მიუწვდომელ, იდუმალ, ბუნდოვნად წარმოსადგენ მისტიკურ „სხვა სამყაროებში“, რომლებსაც მხოლოდ შინაგანი მზერა სწვდება.

ლექსების ციკლში „გზაჯვარედინები“ პოეტს დაბნეულობა ეუფლება და არ იცის, როგორ შეუთანხმოს ერთმანეთს ოცნება და ყოველდღიურობა, მიწიერი და ზეციერი. ოცნება და „ღვთაებრივი ჰარმონია“ იმსხვრევა და მის ლირიკას ეუფლება წინათგრძნობა კატასტროფისა, „ქვეყნის დასასრულისა“.

1905 წლის რევოლუციის ქარიშხალში (ლექსების ციკლი „სამშობლოს“) ბლოკმა დაინახა მშვენიერება მშობლიური ქვეყნისა და მისი ხალხისა. რევოლუციამ გადასწია მისი შემოქმედებითი ძიებების მიჯნები და პირადული საზოგადოებრივით შეიცვალა. ლექსების ციკლებში „თოვლის ნიღაბი“ და „ფაინა“ არამიწიერი და განყენებული სახე მშვენიერი ქალისა იცვლება მიწიერი ქალით, „უცნობი ქალით“, რომელიც წარმოადგენს ხორცშესხმულ ვნებასა და სიყვარულს.

ზემოთ ჩამოთვლილი ციკლებისათვის და საერთოდ ბლოკის ლირიკისათვის დამახასიათებელია მუსიკალობა. ბლოკი მუსიკას ლექსში უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებდა. მუსიკა უნდა ამაღლებულიყო ამ სამყაროში გამეფებულ „ქაოსზე“ და უნდა შეეტანა ჰარმონიული საწყისი. მუსიკამ განაპირობა ბლოკის პოეტიკა, მისი პოეტური ხელოვნება, მისი ოსტატობა, მისი პოეტური მიგნებები. სწორედ ამიტომ უწოდა ვლადიმერ მაიაკოვსკიმ ბლოკის შემოქმედებას „მთელი პოეტური ეპოქა“. „უნაზესი დამის მენესტრელმა“ მეოცე საუკუნის რუსულ პოეზიაში ის როლი შეასრულა, რაც მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაში გალაკტიონ ტაბიძემ.

ჯერ კიდევ ბლოკის თანამედროვემ და ახალგაზრა პოეტმა ინოკენტი ანენსკიმ კითხვაზე, „რა არის პოეზია?“ ასე უპასუხა: „ეგ მე არ ვიცი. რომ ვიცოდე კიდეც, თუ პოეზია რა არის, შესაფერისი სიტყვებიც რომ მეპოვა, მაინც ვერ გამოვხატავდი და ვერც ვერავინ ვერ გამიგებდა. პოეზია ეტყობა ის რეალობაა, რომელიც ხჯობს არ განისაზღვროს; განა არსებობს მილოსელი ღვთაების შესაფერისი სამოსელი?“ როცა საქმე ბლოკის პოეზიის შეფასებაზე მიდგა, ანენსკიმ მაინც გამონახა შესაფერისი სიტყვები და მას პოეზიის მომავალი მშვენება უწოდა.

თუ როგორ აღმერთებდნენ ბლოკს მეოცე საუკუნის რუსი პოეტები, ამის მშვენიერი ნიმუშია მარინა ცვეტაევას 16 ლექსი ბლოკზე. ამ თექვსმეტი ლექსიდან მაგალითისათვის მოვიყვანთ სტრიქონებს პირველი ლექსიდან: „შენი სახელი მუქში მომწყვდეული ჩიტია. შენი სახელი ენაზე ყინულის პაწია ნატეხია, ბაგეების ერთი მოძრაობაა, ხუთი ბგერაა. ჰაერში დაჭერილი ბურთია, პირში ვერცხლის ზანზალაკია; ქვა, წყნარ გუბეში ჩაგდებული. შენს სახელს დაიძახებს, ცხენების ღამიული ბაკა-ბუკი შენს სახელს იმეორებს, შენს სახელს ახსენებს საფეთქელთან გამოსხლეტილი ჩახმახი. შენი სახელი თოვლში თვალებზე კოცნაა, წყაროს ცივი, ცისფერი ყლუპია, შენი სახელი ღრმა სიზმარია“...

მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაში ამ პოეტი-რაინდის, ამ „უნაზესი დამის მენესტრელის“ სახელი გალაკტიონ ტაბიძემ შემოიტანა. იმ პოეტისათვის, რომლისთვისაც მუსიკა უპირველესი იყო, ძვირფასი უნდა ყოფილიყო ბლოკის სახელი და ძვირფასი იყო კიდეც. გალაკტიონისთვის მახლობელია ბლოკისეული რემინისცენციები, რომლებიც მის პოეზიაში ზოგ შემთხვევაში გაცნობიერებულად არის გახმოვანებული და ზოგ შემთხვევაში — გაუცნობიერებლად. ამიტომ სხვადასხვა და არა გაუგებარი მიზეზებით უნდა აიხსნას ის, რასაც გალაკტიონი „მერის“ გამო წერს: „ალექსანდრე ბლოკის მერი სიმბოლური სახეა, ჩემი მერი რომანტიული, მაგრამ რეალური და ცხადი. კრიტიკოსებს კი სურთ გაადაან არარსებული კავშირი ჩემსა და ბლოკს შორის. ეს ლექსი დამოუკიდებელი ლექსია“

საოცარი დასრულდა წლები. ლანდებივით გაქრა მეფეთა წყება, ტახტებიდან ჩამოაგდეს ვილჰელმი, კარლოსი, ნიკოლოზი და ფერდინანდი, მაგრამ ამაზე არ დაღონდება და თავს არ შეიწუხებს მარტიროლოგი, მარტიროლოგი იფიქრებს სხვაზე: მრისხანე წელს — 1924 წელს — გარდაიცვალა პოეტთა მეფე (ო, როგორ ელტვოდა ამ სახელს თვით გალაკტიონი!) გარდაიცვალა ალექსანდრ ბლოკი, ჰანგების მეფე, დიდი სენ-სანხი და დირიჟორი ნიკიში მძლავრი...

გალაკტიონ ტაბიძის ამ ლექსის სათაურია: „პროლოგი ახი ლექსის“.

აი, ახე დაიტირა მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაში ალექსანდრ ბლოკი იმ ქართველმა პოეტმა, რომელმაც გამოიარა „ჯერ არსმენილი ქარტეხილები ცეცხლთა ფენისა, რომ მოეტანა საქართველოში სიმღერა ქვეყნის გადარჩენისა“. ამ გადარჩენის სიმღერას, მის „ჯონ რიდს“ და ლექსს „რამდენიმე დღე პეტროგრადში“ უთუოდ ეტყობა კვალი ბლოკის პოემისა „თორმეტნი“ („თორმეტნი“ — ალექსანდრ ბლოკის, „რამდენიმე დღე პეტროგრადში“ — ჩემი“...).

როგორც ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაშია აღნიშნული, გალაკტიონი შემდეგში კიდევ დაბრუნებია ბლოკს და უთარგმნია მისი ლექსი „პუშკინის სახლს“ (თხზულებათა მეშვიდე ტომში იგი ორიგინალურ ლექსად არის შეტანილი). „სახელწოდება პუშკინის სახლის ის, სადაც ბრწყინავს აკადემია, ეს ცნობა, ეს ხმა და მოწოდება გულისთვის განცდის ნაკადებია“ და ა. შ.

ახლა, როცა ჩვენი ჟურნალების ფურცლებსა და გაზეთის სვეტებს უამრავი ლექსი ავსებს და ბევრს არა სცხია რა პოეზიისა, მიუხედავად იმისა, რომ თითქოს ზოგიერთნი საჭირბოროტონიც არიან, თუმაც აქვთ და იდეაც, ჩვენ უფრო მძაფრად ვგრძნობთ ბლოკის ლექსების მშვენიერებას, რადგან ან ლექსებში არახ ის ხიბლი, რომელიც ლექსს ლექსად აქცევს, არის პოეტური სულის მოძრაობა და პოეტური ფიქრი, ჩვენ ბლოკის ლექსები გვარწმუნებენ, რომ პოეზია არ არის მოძალადეობა და მხოლოდ ლექსის ორგანიზაცია. ლექსს უსათუოდ უნდა ჰქონდეს იდუმალება და ლექსში უნდა მღეროდეს გულთამხილავი ჩიტი — გამაიუნი...

ბლოკი სტატიაში „წერილები პოეზიაზე“ წერს: „რა არის უცნაური მიზეზი იმისა, რომ მშვენიერი ლექსები ჩვენი თანამედროვე პოეტებისა, არ გვახარებს და ჩვენ იძულებული ვართ, მხოლოდ პატივი ვცეთ და მერე ზურგი შევაქციოთ?

მე მხოლოდ იმ ერთადერთ დასკვნამდე მივდივარ, რომელიც ჩემს აზრით, ჰეშმარიტებასთან ყველაზე უფრო ახლოა. პოეტი არ არის ბოლომდე გულწრფელი. მე ვფიქრობ, ჩვენ აღარ უნდა გვეეჭვებოდეს, ხელოვნების დიდ ნაწარმოებს ისტორია ირჩევს მათი „აღმსარებლობითი“ ხასიათის მიხედვით. მხოლოდ ის, რაც მწერლის აღსარება იყო. რაშიც იგი ცეცხლით დაიფერფლა: იმიტომ, რომ ხელახლა დაბადებულიყო ახალი ქმნილებისათვის ანდა სულაც მომკვდარიყო. — მხოლოდ ასეთი ნაწარმოები შეიძლება იქცეს დიდ ნაწარმოებად“.

ამ ნაწყვეტში ნათლად არის გამოხატული ბლოკის დამოკიდებულება ხელოვნებასთან, პოეზიასთან.

ეს წერილი მინდა დავამთავრო ავსტრიელი მწერლის რობერტ მუზილის ერთი მოსაზრებით, რომელიც ახლახან წავიკითხე „ვოპროსი ლიტერატურის“ ბოლო ნომერში. მუზილი ამბობს: „ხელოვნება კაცობრიობის უფრო მაღალი მორალური ორგანიზაციისათვის ბრძოლაა“. რადგან ჭეშმარიტი პოეზია სულის განწმენდაა, ამ ბრძოლაში რუსეთის უდიდეს პოეტს ალექსანდრ ბლოკს თავისი წვლილი აქვს შეტანილი.

გივი გეგეჭკორი

ალექსანდრ ბლოკი

●

არის წუთები, არაფერს ეძებ,
არც გრიგალქარი აგიბნევს თავგზას,
ვიღაცა ხელებს დაგაწყობს მხრებზე,
ვიღაც თვალებში ჩაგხედავს ნაზად.

არაფრად აგდებ მიზანს თუ მიზეზს,
უძირო სევდას ესხმება წყალი...
სიჩუმე ჰყვავის უფსკრულის პირზე,
— ვით ცისარტყელა შვიდფერი რკალით.

ვით სიყმაწვილე იფეთქებს მერე
მზე, იდუმალი ისე, ვით გუშინ, —
მიძინებული სიმები ულერენ
არფისებურად მთრთოლვარე სულში.

●

მინდა სიცოცხლე! ცეცხლი მედება,
ო, ახლა მე ეს ცეცხლიც მჭირდება, —
არამოქმედის ამოქმედება
და არსებითის მსურს დამკვიდრება.

დე, გულს თენთავდეს თვლემა ფარული,
სულ ამიკრძალონ თუნდაც გალობა,
ვიცი, ოდესმე ყრმა მხიარული
ასე გადასცემს შთამომავლობას:

შევუნდოთ! ხშირად იყო ისეთიც,
პირქუშად ვრაცხდით, მაგრამ, დაგული,
ის იყო პირმშო შუქის, სიკეთის
და უხვი, როგორც დღესასწაული...

თავისუფლების დღესასწაული!

●

მე ვარ ჰამლეტი. ცივდება სისხლი,
როს ვერაგობა ქსელბადეს ხლართავს,
გული კი პირველ სიყვარულს გიხსნის,
გულს სხვა რა უნდა ტრფიალის გარდა.

ო, ოფელიავ, წაგიღებს ჟამი,
როგორც მდინარე, ნამდვილად ვიცი,
და დამშინთ, კვლავ რომ წაბილწეს შხამით,
მოკვდება თქვენი ერთგული პრინცი.

●

ბევრჯერ დაგვცინეთ, ო, როგორ გძულდით,
გძულდით, რამეთუ ჩვენი ლექსებით
ვამხილეთ თქვენი ცხოვრება მრუდი
და აი, დღესაც ველარ გეხსნებით!

ჩვენ პოეტები ვოცნებობთ თქვენზე,
გვაქვს სიყვარული თქვენი ფარული,
ჩვენ ისევ დავნერთ თქვენს გამო ლექსებს,
თქვენს ბნელ სურვილებს
გვერდს ვერ ავუვლით.

იცინეთ, სულაც ნუ გჯერათ ჩვენი
და რასაც ჩვენ ვწერთ, სულ ნუ კითხულობთ, —
კვლავ ჩქეფს მინის ქვეშ სიცოცხლის წვენი,
ვით პოეზია და საიდუმლო...

ბორგავს, გვაფრთხილებს პოეტი მუდამ:
რომ საიდუმლოს, როგორც ოცნებას,
სიყვარულივით დაფარვა უნდა.

●

ვარ დალურსმული მედუქნის დახლზე,
მთვრალს სულ არ მესმის,
ირგვლივ რა ხდება,
და ჩემი ბედი, ბურუსით სავსე,
ვერცხლისფერ კვამლში უჩინარდება.

ნლების მარხილი მიმაფრენს სადღაც,
დრო-ყამის თოვლში მნუხრია სრული
და კენესის ლაღად,
მართლაც რომ ლაღად,
ნალების კვესით შემცბარი სული.

ნაპერწკლოვანი შუქი სდით ფიფქებს
და ნაპერწკლებით ღამე ივსება
და ყლარუნების ყლარუნით ვიგებ,
რომ სიყვარული არ მეღირსება.

მნუხრია, მაგრამ...
ყრუ ჩურჩულს ვისმენ...
იჭრება გზა და ფხიზლდება ქარი...
ო, შენ კი, სულო, მთვრალი ხან ისევ,
ასეც და ისეც მთვრალი ხარ, მთვრალი.

●

მარტო ყოფილხარ! მესაიდუმლე
არ გიძებნია გუშინწინ, გუშინ.
დღეს კი სიკვდილი ჩაიკარ უცად
სიყვარულისთვის ანთებულ გულში.

ო, მეგობარო, რაღაც გერევა,
როგორ დაუთმე სიცოცხლე ტყვიას,
რა საჭიროა? ბედნიერება
ისედაც გვტოვებს ადრე თუ გვიან.

●

იქ დაიფერფლა ადამიანი
ფეტი.

ძალზე ძნელია არ იყო, მაგრამ
თავს იტყუებდე, რომ ხარ ღადარი,
და უამბობდე ვნებათა ამბავს
მას, ვინც არ უნყის, ცეცხლი რა არი.

ძნელია იცნო მწუხრში რიჟრაჟი,
ო, მაგრამ უნდა ინოდე, ვინძლო
ხვალ ხელოვნების ფერმკრთალ ციალში
სანუთროს ცეცხლი შენი ნვით იგრძნონ.

●

მორჩა. დასასრულს უახლოვდები.
მიწიერ ფშვინვას ელება ბოლო.
ეს მოშრიალე მძიმე ნოტები
უდაბნოსაკენ გიხმობენ მხოლოდ.

იყო სიცოცხლე უდაბნოს შხამი.
უდაბნო იყო, არ უნდა დავა, —
კვლავ ასე ულვთოდ გუგუნებს ღამით
აზრი, ვით გულში ჩადგმული ძრავა.

თარგმნა მორიხ ფოცხიშვილმა



ალექსანდრ ბლოკი.
მოქანდაკე თენგიზ ღვინიაშვილი.

სიტყვა ახალგაზრდა შემოქმედზე

„რაც ხანი გადის“

ვახტანგ ხარჩილავა

მიხეილ ფეფიანის ლექსის ვერსიფიკაციული გადახალისებისკენ, ძიებანი ფორმის ფიერში, მოკალაკეობრივი მოტივების ნენ ნამოწევა, ინტელექტუალურ-ფილოსოფიური ნაკადის მომძლავრება, მორალურ-ზნეობრივი საკითხების დასმისა და გადაწყვეტის ცდა, თანამედროვე ადამიანის ეპოქასთან, დროსთან მიმართების საკითხებით დაინტერესება — ეს შემარიგი პოეზიისათვის დამახასიათებელი ეს თვისებები, ახალმა თაობამ შემოქმედებითად ითვისა, დაამკვიდრა და თავისი პოეზიის სპეციფიკის განსაზღვრელ ნიშან-თვისებებად აქცია.

გრიგოლ ჯულუხიძის ლექსების ბოლო კრებული „რაც ხანი გადის“ იმის დასტურია, რომ იგი კვლავაც ერთგულია თავისი თაობის შემოქმედებითი პრინციპებისა.

თუ ამ პოეტის ლექსებს თვალს გავადევნებთ, ვერ ვიტყვით, რომ იგი ერთბაშად გამოიჩჩა თანატოლთაგან. მისი დებიუტი არ ყოფილა ხმაურიანი და თვალისმომჭრელი. ნელ-ნელა, აუჩქარებლად იხვეწებოდა ლექსი, ფრაზა ღონეს და სიზუსტეს იძენდა, იკვეთებოდა მთავარი მაგისტრალური ხაზი. სწრაფვა სრულყოფისა და ზრდისკენ, მიღწეულით დაუკმაყოფილებლობა, იმთავითვე დამახასიათებელი იყო ამ პოეტისთვის.

ლიტერატურაში უშუალოდ აირეკლება ხოლმე პიროვნების ბიოგრაფია. იგია დედაწყარო შემოქმედებისა. მდიდარი, სისხლსავსე ბიოგრაფიის მწერლებს იშვიათად თუ შემოელევათ სათქმელი.

„ბავშვობა ომმა წამართვა — აღარც კი მახსოვს, მჭონდა თუ არა...

სიყმაწვილეში გუთანს ვეკიდე, — ვხნავდი და ვთესავდი, ვმწყემსავდი ნახირს; მერე საავიაციო ქარხნის ჩარხთანაც ვიდექი და ხამბოის ხაბეჭდ მანქანასთანაც; გამოვიარე ჯარისკაცური და სტუდენტური წლები...“ — ასე ძუნწად გვიყვება თავის ბიოგრაფიას ავტორი წიგნის წინასიტყვაობაში, მაგრამ რამდენი რამ დგას ამ ოროიოდე წინადადების იქით. რაც სამუდამოდ აღიბეჭდა სულში და შემდეგ ლექსებში ჰპოვა მეორე სიცოცხლე.

მისი პოეზია ეს არის ცხოვრებიდან, უშუალოდ განცდილიდან და ნანახიდან მოსული პოეზია. ის არ პოზიორობს, არ ქმნის ბუტაფორიებს, არ გვტყუებს; წერს იმაზე, რაც ზედმიწევნით კარგად იცის, რაც სისხლხორცეულად მიხეულია; ეს არის ომის დროინდელი და ომისშემდგომი ძნელი ბავშვობის წლები, მოუშუშებელი ტკივილი შინმოუსვლელი მამის გამო, ობლობის სიმწარე, ფიქრი მამულზე, მის წარსულზე, მის მშფოთვარე დღევანდელობაზე.

მაგრამ ლიტერატურული ოსტატობა განისაზღვრება არა იმით თუ რაზე წერ, არამედ იმით, თუ როგორ შესძლებ ნანახისა და განცდილის გადმოცემას. გრ. ჯულუხიძე უმრავლეს შემთხვევაში ანერებს გულში ჩამწვდომად, დამჯერებლად გვითხრას სათქმელი, დაინტერესოს და მიიზიდოს მკითხველის ყურადღება: „მოგონებიდან საღიღინო შემრჩა მცირედი, ის სევდა ყველგან თავს მახსენებს, სადაც მივედი... დარდის წკარუნი დედაჩემის თვალებს მისველებს... და ჩემი სიყრმის ჩამკრალ კოშკებს აწვიმს ისევე“.

ეს სტროფი შემთხვევით არ მოგვიტანია ხაილუსტრაციოდ. მისი ლექსების დიდი ნაწილი სწორედ მოგონებებთან, დედის სახელთან, ბავშვობის წლებთან, სოფელთან არის დაკავშირებული.

ამ მოგონებებს დღევანდელი დღიდან რამდენიმე ათეული წელიწადი გვაშორებს, მაგრამ პოეტის შთაგონების მიბრუნება მათკენ გამართლებულია, რადგან ნანახს და განცდილს გარკვეული მხატვრული სახეებით, მეტაფორებით, მოულოდნელი შედარებებით. მისთვის ნიშანდობლივი არ არის ბრჭყვიალა მხატვრული ხამკაულებით თავის მოწონება და ლამაზსიტყვაობისკენ მისწრაფება. იგი გულახდილად, შეულამაზებლად გვიყვება თავის სათქმელს და ცდილობს ყველა კომპონენტი იმ მთავარ იდეას დაუკავშიროს, რისთვისაც დაიწერა ლექსი. მისი ლექსი უფრო მონოლოგია, აღსარება, რაც თავისთავად მოითხოვს უბრალოებას და სიხადავეს: „შემოგიტყუე ლურჯ იებით, წითელ ძახვილით... მე კი დამერქვა, მატყუარა მამის სახელი. შენს წინ გრძნეულმა საიდუმლო გახსნა კედელი — თვალები სულ სხვა სინამდვილეს გადაეყარა: ჩაყვითლებულა შემოდგომის ფრთებით ედემი, მკვდარი ჩიტები ფოთლებივით ათოვს ქვეყანასა“.

ალაგ-ალაგ შეიძლება სენტიმენტალიზმიც ვუსაყვედუროთ ავტორს, მაგრამ თუ კარგად ჩავუკვირდებით მისი პოეზიის ხასიათს, ზოგადის მიღწევა არაა იოლი საქმე და პოეტისგან ზუსტ ალღოს და ტაქტს მოითხოვს.

ფიქრი სამშობლოს წარსულზე, აწმყოზე და მომავალზე მთავარ ლეიტმოტივად გასდევს მთელ კრებულს. ამ თემაზე დაწერილი ლექსებიდან ერთ-ერთ ყველაზე საყურადღებოდ მიმაჩნია „არლეკინო“. თამამი, პირდაპირი საუბარი მკითხველთან. ბევრჯერ დამუშავებული თემის ახლებური განხილვა აქცევს ამ ლექსს საინტერესოდ. იმდენად შეკრულია ეს ლექსი, რომ იქიდან ცალკეული ადგილების ამოგლეჯა უხერხულად მივიჩნევ.

სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებენ ამავე თემაზე დაწერილი ლექსები „ჯავახური“, „სიზმარი კომენტარის გარეშე“, „ბოლოს და ბოლოს“, „მონოლოგი. პაატა საკაძე“. შინაგანი პათოსით და ტკივილით დამუხტული ამ ლექსების მიმართ მკითხველი გულგრილი არ დარჩება.

ზოგჯერ პოეტი უკვე სტერეოტიპად ქცეული სახეებით კმაყოფილდება. ახალს არაფერს გვეუბნება ასეთი სტრიქონები: „ალარაფერი მეორდება — მარადას, კრწანისს, შეუღებია გულისპირი ყაყაჩოს სისხლით“. მსგავსი რამ უამრავჯერ წაგვიკითხავს სხვადასხვა ვარიაციებით.

ზოგი ჩვენი თანამედროვე პოეტი ძვირფასი ისტორიული სახელების უბრალო ჩამოთვლით, მათი წამდაუწუმ ხსენებით ცდილობს ეფექტის შექმნას. ასეთ შემთხვევაში უმეტესწილად ვდებულობთ შაბლონურ, არაფრისმთქმელ ნაწარმოებს, რადგან მხატვრული სამოსელი მოძველებულია, განწყობილება ყალბი და მოგონილი. გრ. ჯულუხიძეს ვერ დავწამებთ წერის ამგვარ მანერას, მაგრამ ის ორიოდე შემთხვევაც, რომელიც წიგნში გვხვდება, კარგი იქნებოდა არ ყოფილიყო.

გრიგოლ ჯულუხიძე ერთ ლექსში წერს: „ო, დამაბრუნა, ნეტავ, ახლა ცხენისწყლის პირას, ჩხენიშის ტყემლის ყვავილ-თოვლი ისე მათოვდეს, რომ ჩამესმოდეს დედაჩემის გაბმით ძახილი... ამოდიოდეს ტყეებიდან ნამლევი მთვარე — ჩემი ბავშვობის მკრთალი პროფილი... სხვა ყველაფერი, ყველაფერი გადამავიწყა“. ამგვარი მონატრება მიწასთან, ბუნებასთან სისხლხორცეულად დაკავშირებული კაცის შინაგანი შეურიგებლობის გამოხატულებაა ურბანიზმთან, იმ თავის პირველ საწყისთან დაბრუნების, მასთან ხელახლა მიახლების სურვილია. ამგვარი სულისკვეთება უცხო არაა დღევანდელი ქართული პოეზიისთვის. ტექნიკურმა საუკუნემ თავისი უარყოფითი გავლენა იქონია ადამიანთა ურთიერთობაზე. გააუხეშა. შეუალებას არ აძლევს ხელოვანს დაუბრკოლებლად იაროს წინ, საკუთარი მიზნისაკენ: „ნუ მოიხედავ! ცოლი და შვილი მოგტირის უკან და თბილი ვარცლი — დედის ალთა სავსეა ცრემლით, რომელმაც ცვივა ბავშვობიდან მოყოლებული ნათესავების, მეგობრების ნაწყალობევი: ბალიშა კანფეტები, ფერადი ფანქრები, თბილი სიტყვები... ნუ მოიხედავ! თუ ბიჭი ხარ, ისე იარე... სუყველაფერი უკან გრჩება და ვინ იცის, რამდენი რამე... ყველა მათგანზე მიბმული ხარ და მიღურსმული და ხშირად, თვალწინ დროშასავით გიფრიალებენ იმ მაისურებს — ბავშვობაში შენ რომ ჩაგაცვეს“.

გრიგოლ ჯულუხიძე ძირითადად ლირიკოსია, მაგრამ გვხვდება რამდენიმე ლექსი, რომელიც ირონიით, პუბლიცისტური სიმძაფრით გამოირჩევა. ისინი გვარწმუნებენ, რომ პოეტს ამ სფეროშიც შეუძლია მუშაობა: „სხვისი გულით იცინოდა, სხვისი გულით დუმდა, მყავდა ერთი მეგობარი, მოაცებდა მუდამ. სხვისი გულით წუხდა ჩემთან, სხვისი სულით სავსე, სხვისი მხარით მედგა მხარში, მომყვებოდა ასე... მკვდარსაც აღლამათ სხვისი ხელით მომაყრიდა მიწას“...

გროტესკულობით, სევდანარევი იუმორით დაგამახსოვრდებათ „გამოგონილი ფრთები“, „სიზმარი“, „სასამართლო პროცესი“.

გრიგოლ ჯულუხიძის წიგნში ერთმანეთს ენაცვლება ვერსიფიკაციის სხვადასხვა ფორმები — ვერლიბრი, კონვენციური ლექსი, თეთრი ლექსი. ფორმათა ამგვარი მონაცვლეობა არ ნიშნავს სტილის უსისტემობას, საკუთარი ხელწერის უქონლობას. (სტილი მარტოოდენ ფორმით არ განისაზღვრება) პირიქით, იგი პოეტის პროფესიონალიზმზე მეტყველებს.

პოეტის ბოლო წიგნთან გაცნობა გვარწმუნებს, რომ ავტორი აღმავალი გზით მიდის, იზრდება წიგნიდან წიგნამდე, და იმედს გვიტოვებს, რომ გრიგოლ ჯულუხიძის ხვალინდელი პოეზია კიდევ უფრო სრულყოფილი და მაღალმხატვრული იქნება.

ახალი თარგმანები

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტყვა ახალგაზრდა შემოქმედზე

„რაც ხანი გადის“

ვახტანგ ხარჩილავა

რომანი ენგურჰესის მშენებლებზე

ენგურჰესის მშენებლებმა იმთავითვე საკეთილთაო ყურადღება მიიპყრეს.

ახლახანს გამომცემლობა „ალაშარამ“ მკითხველს შესთავაზა მოხე გვასალაშ რომანი „არამხუტუ“.

რომანის ავტორი ღრმად ჩასწვდომია ენგურჰესელების ცხოვრებას. ნაწარმოებში მოქმედებენ ნამდვილი და არა გამოგონილი ადამიანები, რომლებიც აქ. ენგურჰესზე, იზრდებიან. იძენენ ცხოვრებისეულ გამოცდილებას, სწავლობენ ერთმანეთის ფასს.

ხანგრძლივ შემოქმედებით მივლინებაში მყოფ მწერალს დიდი ინტერესი გამოუჩენია არა მარტო ენგურჰესის და მისი დღევანდელობისადმი, იგი მონდომებით გასცნობია ამ კუთხის ეთნოგრაფიასა და ხალხურ ზეპირსიტყვიერებას და მოხერხებულად გამოუყენებია თავის ნაწარმოებში. რომანის სათაურიც „არამხუტუ“ ამ საუნჯიდან არის შერჩეული — იგი ზღაპრული დევგმირის სახელია: უსსოვარ დროში ოხაჩქუეს მწვერვალზე უცხოვრია არამხუტუს და დიდად სასახელო საგმირო საქმეები ჩადენია. დღეს კი იქვე, ოხაჩქუეს მახლობლად, ახალი დროის გმირები ენგურს იმორჩილებენ და აიძულებენ სინათლედ იქცეს. ზღაპარი და სინამდვილე ერთმანეთის გვერდიგვერდ ცხოვრობენ ენგურზე.

ავტორი სინამდვილის მართალ, დამაჯერებელ სურათებს გვიხატავს.

საერთოდ, მხატვრულ-დოკუმენტური თხრობა მოხე გვასალიას შემოქმედებისათვის მეტად ნიშნეულია: ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში მან შექმნა რომანი „სურამი“ რიკოთის ულელტეხილზე რკინიგზის მშენებლების რომანტიკული პათოსით აღსავსე შრომის შესახებ.

ეთერ ფერეთელი



რექისორი და ალეზრდელი

ალექსანდრე მიქელაძის დაბადების 80 წლისთავი

ღრმად პატივცემულო, ძვირფასო ბატონო საშა! დაბადებიდან 80 წლის შესრულების საბაბით მაინც ეგებ გაგიბედოთ, თქვენი თაყვანისმცემლების სახელით, მოგახსენოთ თქვენდამი ჩვენი გამოუთქმელი სიყვარული და განუზომელი მადლობა.

ძნელია გაკადნიერდე და ასეთ პატარა წერილში მოინდომო და გააანალიზო სასცენო ხელოვნების, ქართული კულტურის ზრდა-განვითარებისათვის თქვენი უხმაურო, უანგარო მუშაობის წვლილი; შეაფასო ზეგაელენის მნიშვნელობა, რომელსაც თქვენი სულის ანოვანებით, ცხოვრების მაგალითით ახდენდით და ახდენთ იმათზე, ვისთვისაც ყველაზე დიდ საგანძურს სინდის-ნამუსი წარმოადგენს. და მაინც, როდესაც ამ წერილით მოგმართავთ, ძალაუნებურად გხედავთ თქვენ, თქვენს საქმეში, თქვენს შემოქმედებაში, თქვენს ყოფაში...

რა ჩამოთვლის ნათესის სიკეთეს... დღეს, მართალია, ცოტა ვინმეს ახსოვს მამულიშვილური გულმხურვალენი, განცდათა სისადავით, ინტელექტუალური და ფსიქოლოგიური სიღრმით განსხეულებული მაღალმხატვრული თქვენი სპექტაკლები... ბევრისათვის უცნობია თქვენი შემოქმედება, მაგრამ ვინც იცის, ვისაც ახსოვს თუნდაც მხოლოდ შილერის „ვილჰელმ ტელი“, ჭემშარიტი პატრიოტული პათოსით, ტემპერამენტით გაჯერებული ეს მონუმენტური თეატრალური სანახაობა თბილისის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართულ თეატრში, ჰ. ჰაუპტმანის, ლ. ჰელმანის და მრავალ სხვათა პიესების თქვენეული დადგმები, ვერასოდეს დაივიწყებს თქვენს წვლილს ქართული სასცენო ხელოვნების, განვითარების საქმეში.

33 წელზე მეტია, რაც გაგიცანით და ჩემში დღემდე არ დამცხრალა თქვენი პიროვნებით აღტაცება და გაოცება თქვენი ვაჟკაცური პირდაპირობით, მრწამსისადმი ერთგულებით, სიკეთის უბრალოდ და გულუხვად გაცემის უნარით.

სიკეთე — ნორმაა, წესია თქვენთვის, სიბოროტე — (ყველა თავისი ბიწიერი აქსესუარ-რეკვიზიტითურთ) — ანომალიაა, სიმახინჯე, სილამაზის ხელმყოფი, კაცური ღირსების დამჩიავებელი და გამანადგურებელი მანკიერება.

თქვენს სულში წინაპართა კეთილშობილური, რაინდული გენი ცოცხლობს, ერის, ქვეყნის, უსახელო გმირთა (მთესველთა, მშენებელთა, რწმენისათვის თავშეწირულთა) წმინდა სისხლი ჩქეფს. მამულის სასიკეთო შრომა-ღვაწლით დაკავებულს, სახელისათვის ზრუნვა ფიქრადაც არ მოგსვლიათ.

თქვენ არასოდეს მოგითხოვიათ, შეგიხსენებიათ, აღენიშნოთ თქვენი ღვაწლი, ეს თქვენი ბუნების საწინააღმდეგო, დისჰარმონია იქნებოდა, ამიტომაც მას არ დაარღვევთ, ვერ უღალატებთ; ვერ უღალატებთ ვერც თქვენს მოწაფესს, იდეალს, ოცნებას, ისე როგორც ვერ უღალატებთ მეგობარს, საერთოდ კაცს, ამით შეიძლება ავსხსნათ, — რატომ არ წერენ თქვენზე წერილებს, რატომ არ მართავენ საღამოებს, შეხვედრებს. (თუმცა უკვე 80 წელი შეგისრულდათ). არ გიწვევენ ტელეკრანებთან, სიმპოზიუმებსა და სესიებზე; ყოველივე ამისგან თქვენ შორს ბრძანდებით...

თქვენ უპირველესად მიმაჩნიხართ იმ პიროვნებათა შორის, რომლებთან ურთიერთობამაც გამდიდრა ჩემი და ბევრი ჩემისთანა სული, გააღრმავა სიკეთისადმი რწმენა. თქვენ ის პიროვნება ბრძანდებით, რომელიც გვახსენებს ცხოვრების ფუსფუსში მივიწყებული იდეალების არსებობას, გვახსენებს, რომ „შეუძლებელია იყოს ისეთი მდგმარეობა, როცა კაცს არ შეეძლოს ღირსების შენარჩუნება“. კაცთმოყვარეობა ძლიერი და ღრმა ფესვია თქვენი პიროვნების რაობისა, ოცნების ყმაწვილური უნარი. — სამკაული თქვენი სულისა, მახვილგონიერება კი გვირგვინია თქვენი აზროვნებისა.

ნუ გგონიათ გეფერებოდეთ ბატონო საშა, ან საიუბილეო ტონის მაღალფარდოვნება მაიძულებდეს გითხრათ ყოველივე ეს, მერწმუნეთ, რომ — არა!.. — „ან რა მაქვს შენთან საფერაო, რას გამოველი?!“.

როცა თქვენ შემოგვაქერით, ბატონო საშა, თქვენი მკაცრი, გონიერი და მასთან ბალღური გულჩვილობით, გვისმენთ, გვესაუბრებით, გვწამს, რომ არსებობს სილამაზე, ოცნება; გვჯერა, რომ მას ჰყავს ქომაგი, — თქვენი სახით; ეს ხომ ბედნიერებაა!

ლილი იოსელიანი,
საქართველოს სახალხო არტისტი.

ოთხშაბათს, 26 ნოემბერს საქართველოს მწერალთა კავშირის პროზაიკოსთა სექცია და კარლ მარქსის სახელობის საქართველოს სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა აწყობენ საჯარო განხილვას გურამ დოჩანაშვილის რომანისა „სამოსელი პირველი“.

მომხსენებელი აკაკი ბაქრაძე.

დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

მისამართი: კეცხოველის ქ. № 5, კარლ მარქსის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა.

ერთი წიგნისა და მისი ავტორის გახსენება

„ალბათ, ავი გულით იყო, თორემ, აბა, სხვა რა მიზეზი უნდა ჰქონოდათ, რომ ბუმბულს ვიღაც-ვიღაცეებმა ჩააგონეს: მსუბუქი ხარო“.

ამ ერთ წინადადებაში ირონიაც არის, იუმორიც, პარადოქსული აზროვნებისკენ მიდრეკილებაც, რაც მთავარია, ესაა დასაწყისი აკორდი — მოთხრობა-იგავისა და ეს აკორდი სწორად, ეფექტურადაა აღებული.

ვიღაც-ვიღაცეები რა შუაშია? ბუმბულია და მსუბუქია, აბა, ბუმბული და მძიმე ვის გაუგონია? თანაც, ეტყობა, თავად ბუმბულსაც არ სცოდნია, რომ მსუბუქია, ეტყობა კი არა, ერთ დღეშია. „ტყუილად მოგაქვს თავი, საცოდავო, მე შენზე დიდიცა ვარ და მძიმეცაო“, აჩუმებს ალუბლის კურკას. „იქნება შენცა გგონია, რომ ჩემზე მძიმე ხარო? ჩასციებია მოზრდილ კენჭს. ამ დიდგულობაშია ჩვენი ბუმბული, რომ ქარი მას პაერში აიტაცებს და დაატანებს ხან აღმა, ხან დაღმა, ხან ზემოთ, ხან ქვემოთ... ამას მოსდევს წიგნში შრიფტითაც გამოყოფილი შეგონება იგავისა:

ახე ყოფილა: სანამ ქარი არ დაუბერავს, ბუმბულს თავისი თავი მძიმე ჰგონია...

თითქოს, იგავი აქ უნდა დამთავრებულიყო. სიუჟეტი ბოლომდე განვითარდა, კვანძი გაიხსნა, იგავის მორალი გამოიკვეთა, დავიმოძღვრეთ.

მაგრამ იგავი აქ რომ დამთავრებულიყო, ცნობილი ხალხური ანდაზის, ხალხური შეგონების („სანამ ქარი არ დაუბერავს, ბუმბულს თავისი თავი მსუბუქი არა ჰგონია“...) ილუსტრაცია შეგვრჩებოდა ხელში, რომელიც ანდაზის თავისთავად ცხად და ღრმა აზრს ვერაფერს შემატებდა.

აქ გაჩერება არ შეიძლებოდა.

ავტორს რაღაც კიდევ უნდა ეთქვა.

იმ რაღაცის თქმა ძნელი იყო. მაგრამ ავტორი იმ რაღაცით, იმ რაღაციდან იწყება. „...და ხედავს ბუმბული ზემოდან — მტვრის რანაირი კორიანტელი დგება შარაზე, როგორ ააგლეჯს ფიცრულ სახლს ქარი სახურავს, რა უწყალოდ ახლის ერთმანეთს წიფლის ტოტებს, როგორი ბოღმიანი ოხვრით წვებიან ფერდობებზე მოკლეფეხესებიანი ნაძვები, როგორ იშლება თავმოდგმული ბულულები და გაწეწილი თივა ბლუჯა-ბლუჯა დაბორიალებს ველებზე: ყველაფერს, რასაც მეტი სიმძიმე აქვს და ქარს უძალიანდება, ქარი ულმობლად ამსხვრევს, ანგრევს და აჩანაგებს... თუ, რა თქმა უნდა, თავის მსხვერპლს სძლევს და ერევა...

ბუმბული კი არხეინად დანავარდობს სივრცეში და იმედს არ კარგავს, რომ ადრე თუ გვიან, როცა ქარი ჩადგება, ის, ჯანმრთელი და ტანმრთელი ბუმბული, უვნებლად დაეშვება დაბლა, ქარისაგან წამოქცეულ და ტოტებმომტვრეულ ნაძვთან მიფარფატდება და საქვეყნოდ, ხმამაღლა, ისევ ყველას გასაგონად ჰკითხავს:

— იქნებ შენც ეგრე გგონია, რომ ჩემზე მძიმე ხარო?“

არავინ არავისზე მძიმე არ არის! უზარმაზარი ლოდიცა და უბრალო კენჭიც, მთასავით ვეშაპიც და პაწია ლიფსიტაც, მთის არწივიც და უმწეო მერცხალიც თანაბარი უფლებებით გაუჩენია არსთაგამრიგეს.

სხვანაირად ირღვევა წონასწორობა, ირღვევა ჰარმონია და იბადება კატასტროფა.

გავუფრთხილდეთ ბუმბულს, თორემ, ვინ იცის, იქნებ აღმოჩნდეს ისეთი ძალაც, რომლისთვისაც თავად ჩვენ ვიქნებით ბუმბული და ეგ ამბავი, ერიჰა, სად წაგვიყვანს... მჯობნის მჯობნიო, მოგეხსენებათ...

ავტორი აქ არც თვითონ იჩვილებს გულს და არც მკითხველს უჩვილებს, ბუნებისა თუ ადამიანური ქმედების ნებისმიერ სფეროში ყოვლისა და ყველაფრის ნიველირების იდეას სულაც არ ქადაგებს... არატოლი საგნების ერთმანეთთან გატოლება, უბრალოდ, უსამართლობაა. მაგრამ ის უზარმაზარი ლოდიცა და უბრალო კენჭიც, ის მთასავით ვეშაპიცა და პაწია ლიფსიტაც, ის მთის არწივიც და უმწეო მერცხალიც მხარდამხარ უნდა ებრძოლონ უტიფრობას, ცინიზმს, უსულგულობას, უნდა დაუპირისპირდნენ ძლიერისაგან სუსტის, უღონოს დაჯაბნვის იდეას, თორემ დღეს პავლე პეტრეს ცხვირიდან ძმარს ადენს, ხვალ ქმარი ცოლს დაბეგვავს, ზეგ ვიეტნამს ვიღაცა დაბომბავს და იქამდე მივალთ, რამაც მეცნიერის კითხვაზე: „მესამე მსოფლიო ომი რა იარაღის ომი იქნებაო?“ აპასუხებინა: „მესამე არ ვიცი, მაგრამ მეოთხე რომ კეტებისა და ჯოხების ომი იქნება, ვიცი“.

ვატყობ, ნამეტანი გავგულისდი...

მოთხრობა „ბუმბული“ შედის ფ. გიორგაძის წიგნში „ძალა და ალმართი“.

ეს წიგნი (ავტორის მინაწერით „იგავ-არაკები ქართული ანდაზების თემებზე“) 1963 წელს გამოსცა „ნაკადულმა“.

ვიდრე წიგნზე საუბარს გავაგრძელებდე, მინდა მკითხველს ვაუწყო ვინ არის მისი ავტორი — ფ. გიორგაძე.

ვგონებ, იშვიათი შემთხვევაა — წიგნი გამოცემულია ამდენი ხნის წინათ და მისი ავტორის ვინაობას ფართო საზოგადოებრიობა ახლა გებულობს.

დიახ, მხოლოდ ავტორის მეგობრების ვიწრო წრემ იცოდა და იცის, რომ ამ წიგნის ავტორია აწ განსვენებული ჩვენი თვალსაჩინო ენათმეცნიერი, უნივერსიტეტის პროფესორი ფარნაოზ ერთელიშვილი (ვინც ბატონ ფარნაოზს იცნობდა, ღრმად არის დარწმუნებული, რომ ის თავის ამ წიგნზე კოლეგა-თანამშრომლებსა და ნათესავებში ხმას არ დაძრავდა. პირადად მე ეს წიგნი ამ ოროიოდე წლის წინათ წამაკითხა გიგი ხორნაულმა).

ენათმეცნიერების სფეროში, რომელშიც ფ. ერთელიშვილი იღვწოდა, შეიძლება ითქვას, სპეციალურ, ძალზე სპეციფიკურ პრობლემებს მოიცავდა, ამიტომ ინფორმაცია, რომელიც მე მაქვს ამ თვალსაჩინო მეცნიერის მონოგრაფიებსა და ცალკეულ ნაშრომებზე, საგრძნობლად მეტია, ვიდრე ის, რაც მე ამ მონოგრაფიებიდან და ცალკეული გამოკვლევებიდან ვიცი. ბუნებრივია, აქ შეიძლო დამესახელებინა მაინც მეცნიერის უმთავრესი ნაშრომები, მაგრამ სპეციალისტებისათვის ისინი ზედმიწევნით ცნობილია, არასპეციალისტებს კი მათი მხოლოდ დასახელება არაფერს მისცემს და მეც ადგილს წამართმევს.

ჯუმბერ თითმერია

უწინარეს ყოვლისა, მკითხველის ყურადღებას გავამახვილებ შესანიშნავ მოთხრობა-იგავზე „ყურშაზე“. ახლა მე ვდგავარ რთული ამოცანის წინაშე: განვაცხადე, „ყურშა“ შესანიშნავი მოთხრობაა-მეთქი, მაგრამ ეს უნდა დაგიმტკიცოთ. თუ მე თქვენ ეს ვერ დაგიმტკიცეთ, მოთხრობას მხოლოდ ჩრდილს მივაყენებ. მაგრამ მერწმუნეთ: ეს ის შემთხვევა იქნებაა, როცა ჩვენ რაღაცას ვგრძნობთ, ვერკი ვამბობთ ისე, როგორც საჭიროა.

...ბედნიერია მწყემსი, რომელსაც ერთგული ძაღლი ჰყავს და ბედნიერია ძაღლი, რომელიც პატრონს თავისთავს ურჩევნია.

მაგრამ, თურმე, შეიძლება, ბედნიერი არ იყოს ძაღლი, რომელიც თავისთავს ურჩევნია მის პატრონს და რომელსაც თავისი პატრონი ქვეყანას ურჩევნია.

ამისათვის ელემენტარული სხვა რაღაცაც ყოფილა საჭირო.

რა, ქვემოთ მოგახსენებთ.

ადრე დაობლებული პატარა ყურშა ქოფაკებს ეცოდებოდათ, ვიდრე მწყემსებს მის მიმართ განსაკუთრებული სიყვარული („მეცხვარეები ყურშას ანებივრებდნენ, ათამამებდნენ“) და თვითონ ყურშასაც მეტისმეტი გალაღება, წინამასწარობა არ შეატყვეს. ღმერთმა განსაჯოს, ვინ მართალი იყო და ვინ მტყუანი. იქნებ, თავის გამოჩენისაკენ, განსაკუთრებულ სწრაფვად სულ ტყუილად ჩაუთვალეს ძაღლებმა ყურშას ის, რომ „მთელ ფარას ან ბინებს უვლიდა გარშემო. ღამე ფხიზლობდა, მტერს თვალს უბრმავებდა და მოყვარეს გულს უხარებდა“. თანაც, იქნებ, ძაღლებმა მეტიჩრობად და არამკითხე მოამბეობად ჩაუთვალეს ისიც, რომ ჯერეთ ლეკვი ყურშა ასაკოვან ქოფაკებს მოვალეობის შესრულებისაკენ მოუწოდებდა ხოლმე. ასე იყო თუ ისე, ქოფაკები ხედავდნენ, რომ „პატრონებიც უკეთეს ლუკმას ყურშას უნაწილებდნენ ხოლმე“ და, რაც „ზვიათად ღირსებია ლეკვს“, „ერთგულებისათვის მწყემსებმა ყურშას ჯინჯილები შეაბეს ყელზე“. აი, სად მარხია ძაღლის თავი: ქოფაკები ფიქრობდნენ, რომ მათი ჯილი და ჯილაგი მიეყიდა „სხვას“ — მწყემსს, მეცხვარეს. არა, განა კი თვითონ არ ერთგულობენ პატრონებს, თვითონაც „ჯინჯილშებმული ქოფაკები“ არიან, ოღონდ, მათ ჯინჯილები დიდი ხნის ნამსახურობისთვის მიიღეს, ეს ყურშა კი მკუდრ თუ გონებით, შნოთი თუ ნირით მეტისმეტად ადრე დაწინაურდა („მაგისგან კარგს რას უნდა ველოდეთო?!“). ვერ ვიტყვით, რომ ყურშა თვითონ ყოფილიყოს მოწადინებული და ამისთვის რაიმე სათაკილოს კადრულობდეს. („რაში მიუძღოდა ბრალი... ვერ მიმხვდარიყო“). მაგრამ, ეტყობა, რაღაც მაინც შეეშალა, რაღაცით მაინც მოწყდა თავის ფესვსა და სისხლს, რაღაცით გაღამურდა.

აქედან — მორალი (არ დაგვავიწყდეს, რომ საყმაწვილო იგავ-მოთხრობებს ვკითხულობთ):

წინ და მაღლა, ოღონდ ფესვს და სისხლს მოუწყვეტლად! არ დაგავიწყდეს, ვისი გორისა ხარ... მერე, მერე რა მოხდა?

„აბა, შენ იცი, და შენმა ბიბეთბამ, ჯინჯილებიანოო“, რაცა ხარ, შენა ხარო, მიდი და ჩვენც უკან მოგაყვებითო, გააბრიყვეს ყურშა — მგელს პირისპირ შეატოვეს, მგელთან კი იმას რა გაუვიდოდა. მოთხრობა ნაღვლიანად მთავრდება:

„ყველაფერი სიმშვიდეს ეძლევა... იმ ღამეს მგლები იალაღზე აღარ გამოჩენილან... ცას მტრედისფერი ეპარება, მწყემსები და ძაღლები (დაკვირდით — ძაღლებიც! — ჯ. თ.) ბინებში დუმილით ბრუნდებიან, სიმყუდროვეს არღვევს მხოლოდ გიგა-მწყემსის ძახილი ხან აქ, ხან იქ:

— ყურშავ, ჰაი, ყურშავ!“

მაგრამ მორჩა, ყურშა იყო და აღარ არის.

ამ ფინალს მოსდევს მოთხრობისაგან სამი ვარსკვლავით გამოყოფილი და მსხვილი შრიფტით გამოკვეთილი:

ახე შეაქეს ყურშა და შეაჯამეს მგლებს...

დამაფიქრებელია ეს მოთხრობა და მისი ქვეტექსტი, ვფიქრობ, ასაკოვან მკითხველს უფრო მტკივნეულად ამოქმედებს, მეტს ეუბნება, ვიდრე მოზარდს.

ნატიფი, დახვეწილი იუმორი მსჯელავს მოთხრობა-იგავ „ქვევრს“.

ჩვენ აქ ცხადად ვხედავთ ნაჯაფარ, მეშუბეულ კაცს, რომელიც ზის და... მარტოხელა იწყებს დროსტარებას. რატომ მარტოხელა, რა მეხს დაუმეხავს და რა მეწყერს დაუმეწყრავს! არ ვიცით, იქნება, წვრილ-შვილითაცაა დატვირთული და მხოლოდ პირობითადაა მარტოხელა. იქნება, ეს სულიერი მარტოობაა, თავისი, სხვისთვის უჩინარი, რაღაც უჩინარი, არ არსებული სამყაროს წიაღში ნეტარი განმარტოებაცაა. ვინ იცის! არა, ეგ ჩვენი ბერიკაცი არ წუწუნებს, არ ჩივის, ნორმალური კაცია და კაცურად, უანაკოდ წუწს, რომ დაბერდა: „...კაცი რომ ძაან დაშვრება და დაიღლება, „ოოჰოოო!“ აამოიხვნეშებს... ღმერთიც ეგ არის, შვილო... კაცი დაიქანცა, ამოიოხრა და ღმერთი დაარქვა... მანამდინაც ღმერთი მწყალობდაო, ცხრა დიაკვანი მყვარობდაო... ღმერთი კი არა სწყალობდა იმას მაშინა, თავისი ჯეელობა აჩვენებდა ქვეყანას კარგად...“

სადღეგრძელო თუ არ ითქვა, ისე რა დროსტარება გამოდის. ბოდა, ბებერ ლევანას შეუვსია „თიხის პატარა ჯამი სახამელით, მიწაზე წამოქცეული ქვევრის ყელთან უმირავს და ცარიელ ქვევრს ეუბნება:

— გაგვიმარჯოს!

ქვევრი, მართალია, ყრუდ, მაგრამ მაინც გარკვევით უპასუხებს:

— გაგვიმარჯოს!“

ეს ერთი ფიგურა, ეს ერთი ადამიანი, ეს ერთი ბედნიერებისა და უბედნურების, ყოფნა-არყოფნის, მარადიულ თანხვედრებებას. უფრო სწორად, მათს მარადიულ შეურიგებლობას.

ამ პატარა წიგნის წინასიტყვაობაში ავტორი წერდა:

„...ალბეთს ჩასაფრებია, რომლის ნებისდაგვარ ზოგი ანდაზა იგავის შემოკლებულ, დაწურულ სახეობას წარმოადგენს, თუ ეს მოსაზრება ხუთია, მაგრამ ანდაზა გაკრცობა ოდავს უნდა გვაძლევდეს.

ამუამად ძნელია, იგავის მიხედვით აღვადგინოთ ოდესღაც რეალურად არსებული კონტექსტი, რომლის შემოკლებამ ესა თუ ის ანდაზა მოგვცა. ამიტომ, ცხადია, ანდაზის იგავად გაშლა-გავრცობას სავარაუდო კონკრეტული შინაარსი დაედვა საფუძვლად, ოღონდ იმ შეზღუდვით, რომ ნაგულისხმევი ზოგადი აზრი საერთოა იგავისთვისაც და ანდაზისთვისაც“.

საერთოდ, ეს წინათქმა „მხოლოდ მეცნიერის“ წინათქმაა და არა მწერლისა. ფ. ერთელიშვილი აქ ერთგვარად შიშობს: არავინ იფიქროს, თითქოს, მწერლობაზე ვაცხადებდე პრეტენზიასო. ჩვენ აქედან, ამ დროითი მანძილიდან, შეგვიძლია ვთქვათ: ეს მწერლობაა. ეს კარგი საბავშვო მოთხრობა-იგავებია. ესაა სწორედ მოთხრობა-იგავები და არ მარტო „ანდაზების იგავად გაშლა-გავრცობა“ ან „რეალურად არსებული კონტექსტის აღდგენა“. ავტორი აქ ანდაზებიდან კი ამოდის, მაგრამ წმიდა პიროვნული, მწერლური ფანტაზიით ქმნის (კი არ აღადგენს) „რეალურად არსებულ კონტექსტებს“. ვფიქრობ, ზემოთნახსენები სიტყვა ‘ აბრმ არავითარ უხერხულობას არ ქმნის.

აქ მხოლოდ ერთ რამეს ვიტყვით: ფ. ერთელიშვილს მწერლის სახელისთვის არასოდეს უბრძოლია. როგორც მოგახსენეთ, ეს მოთხრობებიც მან ფსევდონიმით გამოაქვეყნა. მაგრამ რაკი ეს მოთხრობები დაწერა და გამოაქვეყნა კიდევაც, ის, უეჭველად ფიქრობდა, რომ სახარგებლო, საჭირო საქმე გააკეთა, ჩვენც უეჭველად ასე ვფიქრობთ.

ახლა — პრაქტიკულად:

საჭიროდ მიგვაჩნია ამ წიგნის ხელმეორედ გამოცემა. ოღონდ გამომცემლის მორალურ მოვალეობად მიგვაჩნია მისი შევსება. თითქმის არ ხდება, რომ მწერალს ერთადერთ წიგნში ჰქონდეს მოქცეული ყველაფერი, რაც დაუწერია. ფ. ერთელიშვილის არქივში უსათუოდ იქნება ამ და, შეაძლოა, უფრო მეტი ღირსების სხვა ნაწარმოებებიც (იგულისხმება, რომ სიცოცხლის ბოლო წლებშიც დაწერდა ამ ციკლის ან სულ სხვა მოთხრობებს).

ფ. ერთელიშვილის „ძალა და ალმართი“ თეგზიზ მირზაშვილის მიერაა დასურათებული. სასურველია წიგნი ახლაც ამავე ილუსტრაციებით გამოვიდეს (ოღონდ, ღმერთმა ნუ ქნას, რომ სურათები ისევ ისე უდიმღამოდ, ისე ხაშინლად დაიბეჭდოს. შესაძლოა, თვითონ თ. მირზაშვილმა ახლა თავის ძველ ილუსტრაციებს სხვა თვალითაც შეხედოს).

მინდა ვირწმუნო, რომ ერთ მშვენიერ დღეს სახლში მეკნება მოთხრობების წიგნი. რომელსაც (უკვე დღევანდელი გამომცემლების ნებით) გახსნილად ეწერება ფარნაოზ ერთელიშვილი.

მით უფრო, სიკეთეზე მარილის მოყრა იქნება, თუ ამ წიგნს ჩვენი საზოგადოებრიობა მიიღებს. უფროდ გარდაცვლილი სახელოვანი მეცნიერის დაბადების ნამოცი წლის თავზე, რომელიც ამ ორი-სამი წლის შემდეგ აღინიშნება.

ნანა კანდელაკი

ავდრიან ღამეს

ვუძღვნი გიორგი შატბერაშვილის ხსოვნას.

მარტი იწურებოდა, გაზაფხული კი ვერა და ვერ დადგა.

ზამთარი ხძლეოდა ჯერ ისევ, — ხშირად თოვდა, ქროდა ცივი ქარი, მერმე წვიმები წამოვიდა, წამით თუ გამოაჭყეტდა მზე, ღრუბლების სქელი საფარიდან, უცებ დაბნელავდა ქარი, ცას ტყვიისფერი დაედებოდა და პაერში ისევ აიშლებოდნენ ფანტელები.

შაბათი იყო, სოფლიდან ნათლიმამა ჩამოვიდა ჩვენსა, სახურავს მოხედეთო, გვითხრა, ქარმა კრამიტები ამყარა, წვიმა ჩხრიალით ჩადის სახლში და კედელი სულ დაგინესტიანდათო. მაშინვე გაბრუნება დაპირა, მაგრამ დედამ არ გაუშვა, — საცაა არჩილიც მოვა, ვისაღილოთ და მერმე წადიო.

მამა მართლაც მალე მოვიდა. ნათლიმამასთან ერთად ვისადილეთ.

საუბარი სულ უამინდობაზე იყო, სოფლის სატკივარზე, ხვნა-თესვის დაგვიანებაზე.

პურისჭამას რომ მოვრჩით, მამამ უცებად გადაწყვიტა — აგერ მგზავრი მყავს და ბარემ დღესვე ავალ სოფელში, ზოგ რამეს დღეს გავაკეთებ, ზოგსაც ხვალ, და ორშაბათ დილით დავბრუნდებით.

— საღამოვდება, ამ წვიმასა და ტალახში რა აგიყვანთ სოფელში, — თქვა დედამ, — ხვალ დილით წადი. წვიმა კი არ აპირებს გადაღებას, მაგრამ დღის სინათლე მაინც იქნება.

— წამო, აჩიკო, — ჩაუდუდუნა ნათლიმამამ, — გადადებული საქმე ეშმაკისაა.

მამამ აღარ გადათქვა და მზადებას შეუდგა წასასვლელად. ლურსმანი ადრე გვქონდა ნაყიდი — ჩაყარა ტილოს ჩანთაში, პური, ყველი და რომ ვერც წარმოვიდგენდი, უცებ გადმომლაპარაკა:

— აბა, მარდად, მოემზადე შენცა, წამო სოფელში.

— ამ ავდარში?! — შეწუხდა დედა.

მამამ ხმა არ გასცა, თვალი ჩამიკრა, ჩაიცვიო, მანიშნა. მეც თვალისდახამხამებაში ჩავიცვი პალტო, ბოტებში ფეხი ჩავყავი, თავზე თბილი შალი მოჭიხვიე და კართან დავდექი.

დედას გაეღიმა:

— ახე ძალიან გინდა ამ ამინდში სოფელში ასვლა? წადი, წადი, ერთხელ გაზაფხულისპირასაც ნახე სოფელი, ოღონდაც არ გაცივდეშუა მარანშია, ლობიო კი უკანა ოთახის განჯინაში, ჭოთანიც იქვეა. ბუხარი გაიჩაღეთ და ნუ დაზოგავთ შეშას, სითბოში იყავით... სიდახლესთან გადადი, მშვიდურა ექნება, გემრიელია ლობიოსთან. მამიდა ლუბა და ძია ალექსი მომიკითხეთ. ჰო, მართლა, პატარა ჭილით წაგეღოთ იმათთვის მურაბა, გაეხარდებათ...

— მოიტა მურაბაცა და კონსერვიც, თუ გვაქვს, ცარიელი მოკითხვით ხომ არ მოვინახულებთ, — თქვა მამამ. — ვიჩქაროთ, ნახევარ საათში გადის გორის მატარებელი.

მატარებელს ძლივს მივუსწარით, ავედით ვაგონში და კიდევაც დაიძრა.

მცხეთას რომ გავცდით, წვიმას უმატა, ცა ისე ჩამოიქუფრა, გეგონებოდათ ჩამოღამდაო, მაგრამ კავთისხევში რომ ჩავედით, უკლო, ისე აღარ წვიმდა, ეინესლავდა კი მეტად უსიამოდ.

მივადექით მებორნეს. თავის მიწურში იყო, თუნუკის ღუმელს აგუგუნებდა.

— გაგვიყვანე იქითა მხარეს, — უთხრა მამამ.

— ბორანს არ დავალუპინებ ამ გაგიჟებულ მდინარესა, — მტკიცე უარი გვითხრა მებორნემ.

— მაშ, რა ვქნათ, კაცო, თბილისიდან ჩამოვსულვართ...

— დაიცადეთ დილამდე, ეგერ ტახტია და მოახვენეთ. იქნება დილით გამოიაროს, გადაიღოს წვიმამ და ქარიც ჩადგეს, მაშინ ვნახოთ...

ამ ლაპარაკში, მიწურში შემოვიდა დიდთვალება, მაღალი ჭაბუკი.

— ო, აჩიკო, — გადაეხვია მამას და მაშინღა ვიცანი — გიორგი იყო, თვალადელი გოგი. — ამ ავდარში რამ ჩამოგიყვანათ?

— აი, ნათლიმამამ ამბავი ჩამომიტანა, სახურავი დაზიანებულა და მოვდივარ, სახლს მივხედო, რაღაცას წავიჩალიჩებ...

— ეს გოგო რაღას წამოგიყვანია, მუშად მიგყავს?

— მუშად, მაშ! — გაეღიმა მამას და მხარზე ხელი ამკრა.

— ჰა, გაგვიყვანე იქით ნაპირზე, პაწკუტა, — უთხრა მებორნეს გიორგიმ.

— ეეჰ, — ხელი აიქნია მებორნემ, — ახლა თავიდან მაამბობინე მიზეზი.

— ეს კაცი მართალია, ამ ავდარში ვერ გავა ბორანი, გაგიეგებულია მტკვარი, — თქვა ნათლიმამამ.

— მა აქ ხომ არ დავრჩებით, ფეხზე ცეცხლიც ჭირს პაწკუტას სახახლეში, — გაიცინა გიორგიმ.

— ხანდაკში ჩადით, იქ ბორანი მუდამ მუშაობს, — უხალისოდ ჩაილაპარაკა მებორნემ.

— სხვა გზა არ არის, — თქვა მამამ და მიწურიდან გავიდა.

ერთი ავდრიანი ღამის

ვუძღვნი გიორგი შატბერაშვილის ხსოვნას.

გარეთ ისევ ყინულავდა, ცივი ქარი ქროდა. დავადექით გზას ლიანდაგის გასწვრივ და ნახევარ საათში ხანდაკის ბორანს მივადექით. იქ მტკვრის კალაპოტი საკმაოდ ვიწრო იყო, მტკვარი ორ კლდეს შუა მიედინებოდა და რა გინდ ადიდებულიყო მდინარე, ბორნის მოძრაობა არ ფერხდებოდა.

— ამ ავდარში საიდან გაჩნდით, ხალხო? — გაუკვირდა მებორნეს მის ფიცრულ ქოხში რომ შევედით, — რა ხანია მატარებელმა ჩაიარა.

— კავთისხევიდან მოვდივართ, სადგურიდან, ვერ გადავედით იქა ბორნით, ახლა შენს იმედზე ვართ, — უთხრა მამამ.

— გაგიყვანთ, კი ბატონო, მაგრამ ამალამ კავთისხევში როგორ ახვალთ, ამ უკუნეთ ღამეს? — შეწუხდა მებორნე.

— მირონები მყავს ხანდაკში, იმათთან გავათენებთ ღამეს... რომ ინათებს, ჩვენ გზას ვეწევით, — თქვა ნათლიმამამ.

სოფელში რომ ავედით, სულ ბნელოდა. აქა-იქ ბუუტავდა ლამპის შუქი ციცინათელებივით და დროდადრო ძაღლები ბუეფდნენ. ავდრის გამო ადრე მისცემოდა ხალხი ძილს.

ნათლიმამამ ნაცნობის კართან მიგვიყვანა.

მასპინძელმა თბილად მიგვიღო.

მაშინვე გავიხადეთ პალტოები და ბუხართან ჩამოვფინეთ სკამებზე. მერმე სუფრა გაიშალა, შემოვუსხედით ყველანი მაგიდას. თამადობა მასპინძელმა ითავა.

— ესა ხოსოს ვაჟია, კაი მონადირე რომ იყო... ექიმია, ხომ გაგიგია? — მამაზე ანიშნა ნათლიმამამ, — ეს ნაწნავიანი გოგო — ამის ქალია, ესეც ჩვენი ვანო მასწავლებლის უფროსი ბიჭია, გიორგი.

— ყოჩაღ, ასეთ ამინდში რომ გადაგიწყვეტიათ თბილისიდან აქ ამოსვლა. ეგრე წვიმს ეს ვერანა, აგერ ერთი თვეა. დაალპო ყველაფერი. ვერ გაიგებ, მთავრდება ზამთარი, თუ ახლა იწყება. ათასი საქმეა და ვერაფერი გაგვიკეთებია... თქვენი მოსვლისა და გამარჯვებისა იყოს! — ჭიქა ასწია მასპინძელმა და სტუმრები დაგვლოცა. აგაშენათ ღმერთმა, მოხვედით, თორემ ქათმებივით ადრე ძილს ვაპირებდით.

ის იყო სამადლობელო უნდა ეთქვა მამაჩემს, ოთახში აფორიაქებული მამაკაცი შემოვიდა, ჭირისოფლს ასხამდა სახეზე, მასპინძელს ცხენი სთხოვა, — კასპში უნდა გავიდე, ექიმი მოვიყვანო, დედაკაცი მყავს შეწუხებული, ვერაფერს შველის ბებიაქალიო.

გიორგიმ მამას შეხედა, მამა ნელა წამოდგა, თავისი ვინაობა უთხრა მოსულს და პალტოს წამოავლო ხელი, მხარზე მოიგდო.

— ბიჭი თუ შემეძინა, ჩემმა მზემ, შენს სახელს დავარქმევ და ნათლიაც შენ იქნები, ექიმო, — უცებ სახე გაუნათდა მოსულს.

— გოგო თუ გაჩნდა? — გაეცინა მამას.

— ქალი თუ იქნა, ამ გოგოს სახელი დავარქვათ, — ხელი ჩემსკენ გამოიშვირა გიორგიმ.

— ეგრე იყოს! — შეხძახა მოსულმა, — მაგრამ რა დაგიმალოთ, მე ფერი. ვერ გაიგებ, მთავრდება ზამთარი, თუ ახლა იწყება. ათასი საქმეა და ვერაფერი გაგვიკეთებია... თქვენი მოსვლისა და გამარჯვებისა იყოს! — ჭიქა ასწია მასპინძელმა და სტუმრები დაგვლოცა. აგაშენათ ღმერთმა, მოხვედით, თორემ ქათმებივით ადრე ძილს ვაპირებდით.

ის იყო სამადლობელო უნდა ეთქვა მამაჩემს, ოთახში აფორიაქებული მამაკაცი შემოვიდა, ჭირისოფლს ასხამდა სახეზე, მასპინძელს ცხენი სთხოვა, — კასპში უნდა გავიდე, ექიმი მოვიყვანო, დედაკაცი მყავს შეწუხებული, ვერაფერს შველის ბებიაქალიო